# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 210 (6310)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika **ფასი 50 თეთრი.**

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით, მსგავსად „ივერიელთა ერთობის ტრაქტატისა“ (1790 წ.) შეიქმნა

## ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2009-2010 წწ)



**დიდება და მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!**

ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, საუკუნეთა წინ ერთ ერად ჩამოყალიბებულნი, მრავალფეროვნებით გამორჩეული ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარნი, ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი

**საქვეყნოდ ვაცხადებთ:**

კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი – მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენს აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება“.



**აქტუალური თემა** 4

**ედუარდ შევარდნაძე:**

## ტალიავინი ობიექტურია და მისი დასკვნა ჭკუის სასწავლებელია ყველასთვის

6 **ვითხოვ სიტყვას!**

**ქეთი დოლიძე:**

## საქართველო იმიტომ ისჯება, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი კონფორმისტი და კოლაბორაციონისტია





**გამოძიება** 4

**გელა ნიკოლაიშვილი:**

## მუხროვანის სამხედრო ამბოხის სპექტაკლი დავით სიხარულიძის მოსაშორებლად დადგეს

**ჭირი დანახული სჯობს** 3

## ჯანსაღი ძარღვისა და ლიმონიანი ჩაის თაობაზე,

**ანუ ნოდარ ლადარიას ტყიბულიდან ეხმიანებიან**



**ნაცილიტის „შემოდგომა“** 3

## აფრიალეთ ახლა ის დროშა, ბატონებო, და „იმისთვისაც“ გამოიყენეთ!

**ვაითუ ქვეყანამაც სწორედ ის მოიმკას, რაც დაითესა და ითესება!!**

## აბაშა და იევიჩკო დაძმობილდნენ

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს 14.00 საათზე ბიზნეს-ცენტრ „დიდუბე პლაზაში“ (თბილისი, წერეთლის გამზ. №116), გაიმართება აბაშისა (საქართველო) და იევიჩკოს (ჩეხეთის რესპუბლიკა) დაძმობილებასთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალი

ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე: კოალიციის ჩამოყალიბება აუცილებელია

**ნინო ბურჯანაძის აზრით, ქვეყნის გადარჩენის მიზნით კოალიციის ჩამოყალიბება აუცილებელია. ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსათვის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

მისივე განცხადებით, შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკოსებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ერთმანეთს პოზიციები გააცნეს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მას, ვისაც არ სჯერა, რომ ეს ხელისუფლება რაიმეს შეცვლის, ერთმანეთის გვერდით, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები, დავდგეთ და დღევანდელი ხელისუფლების სწრაფად წასვლაზე იზრუნონ, რათა ქვეყანა განვითარების გზას მალე დაბრუნდეს.

— ხელისუფლებისთვის დალოდება იმ მიზნით, რომ რაიმეს შეცვლის, აზრი არ აქვს, რადგან ექსპერიმენტების დრო არ არის, მათი მთავარი ამოცანა არა ქვეყნის გადარჩენა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებაა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## „თავდაუსხმელობის დოკუმენტი“

**არასაპარლამენტო ოპოზიციას სასტუმრო „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილებისთვის არ მიუღწევია, თუმცა შეკრებაზე „თავდაუსხმელობის დოკუმენტი“ შეიმუშავეს.**

როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, ოპოზიციამ შეკრებაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაიდება დოკუმენტი, რის მიხედვითაც პოლიტიკურად ერთმანეთს თავს არ დაესხმებიან და ერთმანეთთან ითანამშრომლებენ.

შეხვედრაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა განიხილეს ყველა გზა, თუ როგორ შეიძლება საქართველოში ხელისუფლების შეცვლა.

არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიათა ნაწილი ხელისუფლებასთან არჩევნების გზით დაპირისპირების მომხრეა, ნაწილი — ხელისუფლების ჩატარებულ არჩევნებს უნდობლობას უცხადებს და მათთან ქუჩის აქციებს უჭერს მხარს.

საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, არასაპარლამენტო ოპოზიცია ქუჩაში იმავე მოთხოვნებით უახლოეს მომავალში დაბრუნდება. ამავე აზრს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსათვის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძეც უერთდება. „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები კი არჩევნების გზით ბრძოლას ამჯობინებენ.

ინტერპრესნიუსი

განათლების რეფორმა

# რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებას შეცდომებზე მიუთითებს

**„ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, როგორც ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, განათლების რეფორმა, ამ რეფორმის შედეგად შემოღებული ეროვნული გამოცდები და საერთოდ, საქართველოში წინ წასული განათლებაა. ყველაფრის „წინ წაწევასთან“ ერთად, განათლების მიღებისთვის საჭირო თანხაც, ქართული მოსახლეობისთვის კატასტროფულ ზღვარს მიუახლოდა, რის გამოც ბევრმა საერთოდ უარი განაცხადა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე.**

არც სხვა ასპექტებში ემადლიერებიან განათლებასა და მეცნიერებაში გატარებულ რეფორმებს. ამ სფეროს წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ტრადიციულად, ოპოზიციური პარტიების პოზიციებზე ვისაუბროთ.

მოგეხსენებათ, წინ ადგილობრივი არჩევნები გველოდება. შესაბამისად, ამ დღისთვის ყველა თავისებურად ემზადება. ზოგი ისევ ქუჩაში აპირებს დგომასა და ხელისუფლებასთან უკომპრომისო ბრძოლას, ზოგიც მოლაპარაკებასა და არჩევნებისთვის შეფარულ მზადებას იწყებს. შეფარულს იმიტომ, რომ არც მწვადი დაწვან და არც შამფური. მათ შორისაა „ალიანსი საქართველოსთვის“. ამ გაერთიანების წევრმა რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი პოზიცია განათლების რეფორმაზე გამოთქვა და ხელისუფლებას დაშვებულ შეცდომებსა და მათი გამოსწორების გზებზე მიუთითა.

განცხადება პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების კომისიის ხელმძღვანელმა გია კვაჭანტირაძემ სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე გააკეთეს. როგორც ცნობილია, საქართველო ჩართულია ე. წ. „ლისაბონის პროცესში“, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან გეგმაზომიერი და სწორი ნაბიჯების



გადადგმას განათლების მნიშვნელობის გაზრდისთვის, რათა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, და მათ შორის საქართველოს, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა ჰქონდეს.

— „ლისაბონის პროცესი“ იძლევა უნიკალურ, ისტორიულ შანსს“, გავიზიაროთ მისი მონაწილე ქვეყნების გამოცდილება და მათივე დახმარებით შევძლოთ საქართველოში თანამედროვე ტიპის, მაღალეფექტიანი, მეცნიერებატევადი ეკონომიკის შექმნა. აღნიშნული პროცესი, რომლის მონაწილე საქართველოცაა, ითვალისწინებს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობასა და მისი ეკონომიკასთან ინტეგრაციით 2010 წლისთვის ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას, — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.**

როგორც პარტიაში აღნიშნავენ, განათლებისა და მეცნიერების კომისიამ საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სისტემის რეფორმის პროცესი საფუძვლიანად შეისწავლა და ხელისუფლების მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომებიც გამოავლინა. საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს ევროკომისიის ექსპერტების რეკომენდაციებს „ლისაბონის სტრატეგიის“ რეალიზაციისათვის. განსაკუთრებული პრეტენზიები პროექტისთვის საჭირო ფინანსურ უზრუნველყოფასთან აქვთ.

— რესპუბლიკური პარტია მხარს უჭერს ქვეყანაში მეცნიერების სისტემის რეფორმირების „ლისაბონის სტრატეგიის“ განხორციელებას და მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა დროულად აღმოიფხვრას მიმდინარე რეფორმების პროცესში ხელისუფლების დაშვებული შეცდომები და მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, — დასძინა დავით უსუფაშვილმა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საქართველოში ეს პროგრამა რამდენიმე წელიწადია ხორციელდება და შეცდომების აღმოჩენას, მით უმეტეს, ჩვენი ხელისუფლებისაგან, დიდი დრო არ სჭირდებოდა.

**ანა წიწილაშვილი**

ვიდეოხიდი

# რას ფიქრობს ლეონიდ კუჩმა სააკაშვილზე

## ექსპრეზიდენტის სიმპათიები იანუკოვიჩისკენ იხრება

**როგორი იქნება მომდევნო ხუთი წელიწადი უკრაინისთვის? — ეს თემა განილებოდა საერთაშორისო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ ოფისში, სადაც კიევს-თბილისს-მოსკოვსა და კიშინიოვს შორის საინტერესო ვიდეოხიდი გაიმართა. კიევის ოფისის სტუმარი ამჯერად უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა იყო, რომელმაც კარს მომდგარი უკრაინის არჩევნებზე ისაუბრა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპრეზიდენტმა არსებული ვითარება და უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მკაცრად გააკრიტიკა. განსაკუთრებით რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო, რომელიც, მისი თქმით, „ნარინჯისფერებმა“ ხელოვნურად გაართულეს. კუჩმას ვარაუდით, რუსეთ-უკრაინის მეგობრული თანაცხოვრება უახლოეს მომავალში არ იგეგმება, ხოლო სიტუაციის დარეგულირებას აბსოლუტურად განსხვავებული სტრატეგიული ხედვა დასჭირდება, რაც წლების განმავლობაში მუშაობას მოითხოვს. კუჩმამ წარსულიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს რუსეთთან დაბალანსებული ვითარება იყო და გამწვავებამდე არასოდეს მისულა, რაც, რა თქმა უნდა, საკუთარ წარმატებად და დამსახურებად მიიჩნია. უკრაინელმა ჟურნალისტებმა ექსპრეზიდენტი კონსტიტუციის ცუდ ფორმირებაში დაადანაშაულეს და ჰკითხეს, გრძნობს თუ არა ის თავის წილ პასუხისმგებლობას უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, რაზეც კუჩმამ ასე უპასუხა: **„2004 წელს მოსულმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა იუშჩენკომ კონსტიტუციის იგნორირება და ფეხქვეშ გათელვა დაიწყეს. უმაღლეს ეშელონებში არ იცავდნენ კანონს და რა რეფორმებზე იყო ლაპარაკი, გაუგებარია?! უკრაინა დღესაც იმავე პრობლემის წინაშე დგას, ამიტომ საუკეთესო გამოსავალია, მკაცრად დაიცვან კონსტიტუცია, როგორც პარლამენტარებმა, ისე მთავრობის წარმომადგენლებმა“.**

ლეონიდ კუჩმამ მოლდოველი ჟურნალისტის კითხვას, შეიძლება თუ არა ისეთივე რევოლუციური სცენარის კიშინიოვში განმეორება. რაც კიევში მოხდა, პირველი გა-



დაიწერა, უფალს შემწეობა სთხოვა და აღნიშნა, **„ღმერთმა ნუ ქნას, ისეთივე სცენარი განმეორდეს რომელიმე ქვეყანაში, რაც უკრაინაში მოხდა“.**

სამომავლოდ სად რა მოხდება, პროგნოზის გაკეთება რთულია, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, რომ უკრაინამ საქართველოს რევოლუციური გაკვეთილები კიდევ უფრო დახვეწა და უკეთესი ფორმით გაიმეორა. ამიტომ არ შეიძლებოდა ამ სიტყვების წარმოთქმისას კუჩმას „დემოკრატიის შუქურა“ საქართველო და მისი პრეზიდენტი სააკაშვილი არ გახსენებოდა.

„რია-ნოვოსტის“ თბილისის ოფისში მყოფმა ქართველმა ჟურნალისტებმაც არ დააყოვნეს და ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა ექსპრეზიდენტს ურთიერთობა ჩვენს ამჟამინდელ პრეზიდენტთან. კუჩმამ უარით უპასუხა და დასძინა, რომ **„8 აგვისტოს განვითარებული მოვლენები და სააკაშვილის გადაწყვეტილება ომის დაწყების შესახებ, დიდი შეცდომა იყო.**

**მას უნდა სცოდნოდა, ვისთან შეიძლებოდა ომის დაწყება. მსგავსი პრობლემა აქვს აზერბაიჯანს ყარაბაღის სახით, მაგრამ არც ახლანდელ პრეზიდენტს და არც მამამისს არ უცდიათ ძალის გამოყენება. მე მომხრე ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, მაგრამ რუსების მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ აბსოლუტურად სხვა რეალობა შექმნა“,** — დასძინა უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა.

მოხდება თუ არა უკრაინის მიერ ამ ორი რეგიონის აღიარება, თუკი ხელისუფლება შეიცვლება, კუჩმამ უპასუხა, რომ არა; ვინც არ უნდა მოვიდეს, ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება არ მოხდება.

კუჩმას თავისი სიძის ვიქტორ პინჩუკისა და ნინო ბურჯანაძის საიდუმლო შეხვედრების შესახებაც მოუწია პასუხის გაცემა, თუმცა აშკარად დაიბნა. **„პინჩუკს თავისი ბიზნესინტერესები აქვს, მაგრამ მე არასდროს ვეკითხები მას ამის შესახებ. ასე რომ, ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ არა მაქვს“,** — აღნიშნა მან.

ყველაზე რეალური პრეზიდენტობის კანდიდატებიდან: ვიქტორ იუშჩენკო, იულია ტიმოშენკო თუ ვიქტორ იანუკოვიჩი, ყოფილი პრეზიდენტის სიმპათიები აშკარად ამ უკანასკნელისკენ იხრება. **„იანუკოვიჩი არის ყველაზე პერსპექტიული ადამიანი უკრაინაში, რომელიც სტრატეგიულ პარტნიორობას გააგრძელებს რუსეთთან. ჩვენს ქვეყანას სხვა გზა მაინც არა აქვს. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რატომ უნდა ამერიკას რუსეთთან პარტნიორობა და უკრაინას კი არა?“** — ნიშნისმოგებით იკითხა ლეონიდ კუჩმამ.

ამაზე დასაფიქრებლად უკრაინელებს სულ რამდენიმე დღე დარჩათ.

**თეა მოსია**

ოპოზიცია

## მსჯავრდებულებს ხატწერის მასალები გადაეცათ

**ქსნის №7 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებულებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ხელმძღვანელობამ ხატწერისთვის საჭირო მასალები გადასცეს.**

მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მისი მოადგილეები კოკა სეფერთელაძე და ლევან ზარანდია იმყოფებოდნენ. მათ ასევე ქსანში მშენებარე დაწესებულება დაათვალიერეს. მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და ექსპლუატაციაში დაგეგმილზე ადრე, 2010 წლის თებერვალში შევა.

სამინისტროს ხელმძღვანელობა ხატწერით დასაქმებულ მსჯავრდებულებს სისტემატურად სტუმრობს და მუშაობისთვის საჭირო მასალებით ამარაგებს. მათი შეფასებით, სამინისტროს მხრიდან მსგავსი თანადგომა მნიშვნელოვანია პატიმართა რეინტეგრაციისათვის და რესოციალიზაციისთვის, რადგან მსგავს საქმიანობაში მათი ჩაბმა დანაშაულის პრევენციის საუკეთესო წინაპირობაა.

ინტერპრესნიუსი

◎ ჭირი დანახული სჯობს

***არსებობს, თუ არა ჩვენში ჯანსაღი ძარღვი? არსებობს, როგორ არ არსებობს. თუნდაც მარტო ის ამბავი, რომ ეს ჩვენი ანტიმართლმადიდებელი ნოდარ ლადარია (უფრო კათოლიციზმისკენ მიდრეკილი) გაზეთ „24 საათის“ ფურცლებიდან ყოველ ორშაბათს საგულდაგულოდ გვმოძღვრავს, განა თავის თავად ჯანსაღი ძარღვის თვალსაჩინო მაგალითი არ არის თანამედროვე ქართული აზროვნების ისტორიაში?! არის, როგორ არ არის, ძალიანაც არის.***

# ჯანსაღი ძარღვისა და ლიმონიანი ჩაის თაობაზე,

## ანუ ნოდარ ლადარიას ტყიბულიდან ეხმიანებიან



აი თუნდაც ამ ორშაბათის „შეხვედრა წარსულთან“ გადავიკითხოთ. ღმერთო, რამდენი საკითხი თუ პრობლემაა გადავლილ-გადმოვლილი ამ ერთ პატარა „შეხვედრაში“. იქით ბარაკა ობამას ნობელის მშვიდობის პრემიაო (რაც ამერიკის ისტორიაში ერთი ღიმილისმომგვრელი ფრაგმენტი იქნება თურმე... ასე მოუხდება ობამას! რატომ არ იხედება ჩვენი ნაციონალებისკენ?! სულ სხვები როდემდე უნდა აგზავნოს საქართველოში?!ძ აქეთ თბილისის თავი უგულავა და ქვეთავი ახვლედიანი ფართხალებენ, თავიანთ „ალტერნატიულ პანთეონთან“ ერთად, ლადარიას პუბლიცისტურ-ფილოსოფიურ ბადეში. მაგრამ, რაც მთავარია, თურმე „პრობლემის დიაქრონულ პლანში არსებობს წარსულის მეხსიერება“. და ის ჯანსაღი ძარღვი, რომელიც „წარსულის ინერციას დამკვიდრების საშუალებას არ მისცემს, თუმცა კი სუსტი,“ მაინც ყოველთვის არსებულა ჩვენში, მაგრამ თურმე რატომღაც „ისტორიული მეხსიერება ნაკლებად სწყალობდა“.

აი სწორედ ამ ჯანსაღ ძარღვს გამოუთქმევინებია 1953 წელს ერთი ტყიბულელი ბიჭისთვის ეს „მარტივი ლექსი“:

**„დედამ დამალევინა**
**ჩაი ლიმონიანი,**
**ძია სტალინს მიეწიოს**
**ძია მიქოიანი“.**

განოდარლადარიებული „24 საათის“ ტყიბულელმა მკითხველებმა ბევრი ვეძიეთ და ვიკვლიეთ, თუ სად ამოიკითხა ან ვისგან გაიგონა ამ „წარსულთან შეხვედრილმა“ პუბლიცისტ-ფილოსოფოსმა ეს სამოქალაქო ლირიკის ორსტრიქონიანი შედევრი, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ვერსად ვერ მივაგენით... ისე, რასაკვირველია, ვიცით, სადაც უკაკუნებს ეს ოცდაოთხსაათელი პოლიტიკური ვაიმეტეოროლოგი, და რახან დედამ ჩაი დაალევინა, ხოლო მისატანებელი არაფერი მიატანებინა, ცარიელმა ჩაიმ გული რომ არ გადაუღიოს, თავის ბატონთაგან კარის კალმოსნად ხელდასხმულ ლადარიას თავისი პოლიტიკური შედევრის კიდევ უფრო მარტივ, ოღონდ ბევრად უფრო საქმიან ახალ ვარიანტს ვთავაზობთ:

**„დედამ დაალევინა**
**ჩაი ლიმონიანი,**
**ლადარიას ძეხვს უგზავნის**
**ძია მიქოიანი“**

მოგეხსენებათ, მიქოიანის „კალბასი“ თავისი სიგრძესისქითა თუ გემოვნებით დღესაც ფრიად პოპულარულია...

**სოსო ჯანსაღძარღვაძე,**
**ქ. ტყიბული**

◎ ნაცელიტის „შემოდგომა“

# აფრიალეთ ახლა ის დროშა, ბატონებო, და „იმისთვისაც“ გამოიყენეთ!

## ვაითუ ქვეყანამაც სწორედ ის მოიმკას, რაც დაითესა და ითესება!!

**ნიშნის მოგებისგან ღმერთმა დამიფაროს!**

**მით უფრო, სამშობლოზე მსჯელობა-წერისას!!**

**და კიდევ მით უფრო, ასეთ ვითარებაში გახარებული კაცივით მკერდზე მუშტის ბრაგუნისგან — ხომ მიიღეთ საკადრისიო!!!**

გუშინწინდელმა საფეხბურთო მატჩმა, უფრო სწორად, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა საცოდაობამ (სხვაგვარად მათს ყოვლად უგვან და უჯიგრო „თამაშს“ ვერ მოვნათლავძ ამაღებინა კალამი.

სულ ახლახან კვიპროსელთა მიერ დიდი ანგარიშით განადგურებულმა ბულგარეთის ნაკრებმა „კატოკივით“ რომ გადაგვიარა და 6:2 მოგვიგო, არაფრით არ მეგონა, ქართველ გულშემატკივართ გული თუ არ გაგვისკდებოდა.

თუმცა არ მიკვირს, რადგან სწორედ ის მოვიმკეთ, რაც 2007 წლის 13 მაისს ნაცელიტამ „დათესა“, როდესაც ხმების გადამწყვეტი უმეტესობით გამარჯვებულ ნემსაძეს არჩევნების ჩამთავრებიდან სულ რაღაც ერთ საათში ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეობაზე უარი ათქმევინეს (არ დაიწყონ ახლა იმ „ელიტის“ წარმომადგენლებმა ბოკერიამ, ლომაიამ, გაბაშვილმა, უგულავამ და სხვებმა, ასე არ ყოფილაოძ და ისევ მანამდე თავშერცხვენილი უმცროსი ახალკაცი „გაამეფეს“, ლამის საბოლოოდ რომ დააქცია მამამისის მიერ თავის დროზე აღორძინებულ-აღზევებული ქართული ფეხბურთი.



ააფრიალეს მაშინ, „გაზაფხულის“ დამდეგს, გამარჯვების დროშა ნაცელიტის წარმომადგენლებმა — ჩვენ, „ერთი გუნდის“ წევრებმა, ჩვენი გავიტანეთ და ნახეთ, ქართული ფეხბურთი როგორ აღორძინდესო!

აღორძინებისა რა მოგახსენოთ და, იმთავითვე სწორედ ისე გამოვიდა, ქუთათურებმა რომ გააშაყირეს თავის დროზე „მწერალი“ ბრეჟნევი „წყევლით“ — შენ დაგმარხე ყამირზე, დაგაყარე მცირე მიწა და არ გეღირსოს აღორძინებაო!

როგორი „შემოდგომაც“ დაუდგათ ნაცელიტელებს, გუშინწინდელმა მატჩმა, მართლა რომ დაგვმარხა, ყველაზე თვალნათლივ დაგვანახვა!

ნიშნის მოგებისგან ღმერთმა დამიფაროს-მეთქი, ვთქვი ზემოთ და ასეც არის — ნაცები რაც არიან, განა ისედაც არ ვიცოდი, მათ გამო ქართული საქმის ნებისმიერ დარგში, უბანსა თუ სფეროში დანარცხება კი არა, თუნდაც წაბორძიკება გამიხარდეს!

ახლა რამდენიმე სიტყვა სათაურთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შარშანწინდელ არჩევნებზე ნაცელიტის წარმომადგენელთა მიერ „გამარჯვების“ დროშის აფრიალებასთან დაკავშირებით (მკითხველთან წინასწარ ვიხდი ბოდიშს იმისთვის, რომ ერთი ცხოვრებისგან გაუბედურებული კაცის ნათქვამი უნდა გავიმეორო მცირეოდენი შემოკლებითძ:

გასული საუკუნის მიწურულს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და კომპარტიის დაუძლურებისას, ერთ-ერთ რაიონში, სანამ იქაური რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგი მიტინგი დაიწყებოდა, ვაგზლის შენობის სახურავზე ერთი „ჭკუამხიარული“ ადამიანი, იონას რომ ეძახდნენ, წითელი დროშით წამომართულა და თავისი მოულოდნელი გამოჩენით სახტად დარჩენილ-დამუნჯებული ხალხისთვის ასეთი ლექსი „უგლეჯია“:

**ხომ დაამხეთ წითელი დროშა,**
**ჭამეთ, სვით და გაიხარეთ!**
**ჭინჭით ტრიკო შეიკერეთ,**
**ჯოხი...“**

„მცირეოდენ შემოკლებაში“ იმ ორ სიტყვას ვგულისხმობდი, რომელთა გამეორებასაც მკითხველს ვერ ვკადრებ. თუმცა იგი ისედაც დააბოლოებს ამ „ლექსს“.

ჰოდა, აფრიალეთ ახლა, საერთო-სახალხო დამწუხრების ფონზე, ის „გამარჯვების“ დროშა, გახარებულო ნაცელიტელებო და „იმიისთვისაც“ გამოიყენეთ იგი!

და კიდევ ერთი: გუშინწინვე შემთხვევით „კავკასიაზე“ გადავრთე ტელევიზორი. ირაკლი ალასანიას მასპინძლობდა დავით აქუბარდია. პირდაპირ ეთერში ტელემაყურებელმა დარეკა: რა გინდათ, რას აგიჩემებიათ, რომ აუცილებლად უნდა გადადგეს ეს ხელისუფლება, მე არც სააკაშვილის გადადგომა მინდა და არც მერაბიშვილისო. ამიხსენით, რატომ უნდა გადადგნენო!

რატომ და, თუნდაც იმიტომ, ძვირფასო ქალბატონო, რომ მთლიანად ქვეყანამაც არ მოიმკას სწორედ ის, რაც დაითესა და ითესება, ანუ სწორედ ისეთი „შემოდგომა“ არ დაგვიდგეს მთელს ქვეყანაში, როგორიც ნაცელიტამ შარშანწინდელი „არჩევნებით“ ქართულ ფეხბურთში დაგვიყენა!

**რუსლან რუსია**

◎ ფორუმი

# ალექსანდრე ებრალიძე: „მე არ ვითხოვ, მოვითხოვ — გავერთიანდეთ!“

**2009 წლის 10 ოქტომბერს, შაბათს, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე ებრალიძე კრასნოდარს ჩავიდა. მისი ჩასვლის მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივი ძალების საერთაშორისო ფორუმზე „რუსეთი და საქართველო. რა სურთ ხალხებს“ გამოსვლა. ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში უდგას მინდია გულუა, კრასნოდარის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქართული სათემო „ივერიის“ თავმჯდომარე. კულტურის სასახლე „პრემიერაში“ შეიკრიბა დაახლოებით ათასი კაცი. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ფორუმს საჩუქრად გადასცეს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი.**

ალექსანდრე ებრალიძე მიესალმა საქართველოს ხალხების რეგიონული ორგანიზაციების დიასპორის წარმომადგენლებსა და საქართველოს დელეგაციას და განაცხადა, რომ საქართველოდან ნებისმიერი გამოსული უსათუოდ უნდა მონაწილეობდეს ისტორიული სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებისგან ვერ მივიღებთ მკაფიო პასუხს შეკითხვაზე იმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, როდის აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, როდის დაბრუნდებიან ლტოლვილები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მშობლიურ ადგილებში, როდის აღდგება კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან. ამ სიტყვებს მხურვალე ტაშით შეხვდნენ. მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს, მიიღოს მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში და უსათუოდ



გაიმარჯვებს. მან შეკრებილთ გააცნო თავისი პირველი რიგის ამოცანები. ყველაფერში, რის განხორციელებასაც აპირებს ალექსანდრე ებრალიძე, მას იმედი აქვს საქართველოს ყველა ხალხის მხარდაჭერისა. ალექსანდრე იოსების ძემ ხაზგასმით აღნიშნა: **„მე არ ვითხოვ, მოვითხოვ ჩემგანაც, თქვენგანაც — გავერთიანდეთ, ჩვენი წინაპრების, ჩვენი ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების, საქართველოს სახელმწიფოს მომავლის გულისთვის!“. ფორუმის მონაწილეები ოვაციით შეხვდნენ მის დასკვნით სიტყვებს: „გაუმარჯოს სუვერენულ, თავისუფალ, დემოკრატიულად აყვავებულ საქართველოს! გაუმარჯოს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას!“**

◎ ინფორმაცია

### პრეზიდენტს იმპიჩმენტი ემუქრება

**პარლამენტარი კარლო კოპალიანი პრეზიდენტს გადადგომისაკენ მოუწოდებს და მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაა დასაწყები. ეს განცხადება კოპალიანმა პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

**როგორც მან აღნიშნა, ტალიავინის კომისიის დასკვნა იძლევა სრულ საფუძველს იმისათვის, რომ პრეზიდენტი ან საკუთარი ნებით გადადგეს ან პარლამენტში დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა.**

**კოპალიანი დასკვნას მთლიანობაში ეთანხმება და მიიჩნევს, რომ შეფასებები სწორად არის გაკეთებული.**

**გარდა ამისა, კოპალიანი მიიჩნევს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დასკვნაში არ არის სრულყოფილი პასუხი გაცემული.**

**მისი თქმით, ეს არის კოდორის უბრძოლველად დატოვების საკითხი.**

**კოპალიანს აინტერესებს, თუ რატომ გაგრძელდა ეს ომი მხოლოდ ორი დღე.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ აქტუალური თემა

***ბოლო დროს მსოფლიოში, მათ შორის კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება საქართველოს უახლოესი წლების პერსპექტივებს. აშშ-რუსეთს შორის თვისობრივად ახალი ურთიერთობები, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხი, ჩრდილოკავკასიაში მიმდინარე პროცესები, ტალიავინის კომისიის დასკვნა, სომხეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების აღდგენა — ეს იმ საკითხთა არასრული ნუსხაა, რომელთა კონტექსტშიც საქართველოს თემას წამყვანი ადგილი უკავია. ქვეყნისთვის აქტუალურ საგარეო და შიდა საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ესაუბრა***

# „ტალიავინი ობიექტურია და მისი დასკვნა ჭკუის სასწავლებელია ყველასთვის“



**— ბატონო ედუარდ, უცხოეთშიც და საქართველოშიც, ერთდროულად განხილვის თემა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შესახებ ტალიავინის კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნაა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ომი ცხინვალში თითქოს ქართულმა მხარემ დაიწყო, რითაც პროვოცირება გაუწია რუსეთს, შემოჭრილიყო. კომისიის დასკვნის მომხრეები და მოწინააღმდეგეები გამოქვეყნებული ტექსტის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენენ. თქვენ რა შეფასება გაქვთ ამ დასკვნის ობიექტურობისა და მნიშვნელობის შესახებ?**

— ძნელია ილაპარაკო აბსოლუტურ ობიექტურობაზე. ვფიქრობ, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ ობიექტური დასკვნაა. ომის შემსწავლელი კომისია, რომელიც ცხრა ადამიანისგან შედგებოდა, კომპეტენტური პირებით იყო დაკომპლექტებული. კომისიის წევრები, ზოგი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ზოგიც კონსულტანტი. ამიტომ ძნელია, ამ ხალხს არ დაუჯერო. მე აღარ ვლაპარაკობ ტალიავინის შესახებ. ტალიავინი ნამდვილად იყო ობიექტური და მიმაჩნია, რომ ეს დასკვნა ჭკუის სასწავლებელია ყველასთვის.

**— რას ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს ტალიავინის კომისიის დასკვნა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე, საქართველოს ხელისუფლების პოზიციებზე? როგორია ამ დოკუმენტის მნიშვნელობა და რა რეაგირებებს უნდა ველოდოთ?**

— ეს არის დასკვნა, რომელიც იმდენად სწორად ასახავს იმას, რაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს მოხდა, რომ არა მგონია, ამ დასკვნამ მსოფლიო არენაზე ხელისუფლების სასარგებლოდ იმუშაოს. ეს არის ავტორიტეტული კომისია და მისი დასკვნა, მე მგონია, თითქმის ყველა ქვეყნისთვის, ყოველ შემთხვევაში, ევროპისთვის, ამერიკელებისთვის საგულისხმო და ანგარიშგასაწევია. ვფიქრობ, რეაგირება, გარკვეული აზრით, უკვე არსებობს. ის ურთიერთობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდათ, შესუსტდა და ის აღარ არის, რაც იყო.

**— დღეს ბევრს საუბრობენ საქართველოს საერთაშორისო პოზიციების შესუსტებაზე, გეოპოლიტიკური ფუნქციის შეზღუდვასა და კავკასიაში ქვეყნის დომინანტი მდგომარეობის შესუსტებაზე. იკვეთება ახალი რეალიები: სომხეთმა ხელი მოაწერა თურქეთთან ურთიერთობის აღდგენას. აშშ კავკასიის სტაბილიზაციის გზაზე ახალ მიდგომებს გვთავაზობს. რა „დატვირთვა“ აქვს საქართველოს მთელ ამ ურთიერთობებში? როგორ შეაფასებთ ამ მოვლენებს?**

— მივესალმებოდი და მივესალმები ყოველგვარი ურთიერთობების გაუმჯობესებას მეზობლებს შორის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საქართველოს როლის დამცირებასთან დაკავშირებული. თავის დროზე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მე და ჰეიდარ ალიევმა იმისათვის, რომ საქართველოს ჰქონოდა სატრანზიტო ფუნქცია, რათა საჭიროების შემთხვევაში, ეს ფუნქცია სასარგებლო ყოფილიყო ევროპისთვის, აზიისთვის, საკუთრივ აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნებისა და რეგიონებისთვისაც. თავის დროზე, ეს იყო ძალიან დიდი გარდატეხა. ახლა მილსადენებს არავინ არაფრით ემუქრება, მაგრამ ის არ არის ცუდი, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობები უმჯობესდება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

**— როგორ ფიქრობთ, თურქულ-სომხური ურთიერთობა ეკონომიკური თვალსაზრისით, დააზარალებს თუ უცვლელად დატოვებს საქართველოს ეკონომიკას?**

— საქმე ის არის, რომ ჩვენ ეკონომიკური განვითარების ძალიან ბევრი ბერკეტი უკვე დავკარგეთ. ყველაფერი გავყიდეთ. წყლის გაყიდვა ვერ მოვასწარით მხოლოდ... ასეთი შინაგანი ბერკეტების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკის აყვავება წარმოუდგენელია. თუ რამე გვჭირს, ისევ ჩვენ თავს მოვკითხოთ. საქართველოს როლი ჯერჯერობით კვლავ მნიშვნელოვანია კავკასიისთვის, აზიისთვის და ევროპისთვისაც, მაგრამ ეს როლი უფრო შემცირდა, ვიდრე ეს იყო ამ ათი ან სულაც რამდენიმე წლის წინათ.

**— ბატონო ედუარდ, კავკასიაში დაწყებული საინტერესო პოლიტიკური ძვრები იმთავითვე ამ რეგიონში არსებული ტერიტორიული მთლიანობების აღდგენის თემებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ყარაბაღი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ჩეჩნეთი... როგორ ფიქრობთ, რამდენად არსებობს დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის მზადყოფნა, შეთანხმება მოხდეს კავკასიის სტაბილიზაციაზე და დაჩქარდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები?**

— შეთანხმება ორ ქვეყანას — სომხეთსა და თურქეთს შორის, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საწინდარი არ არის, მაგრამ არც ხელის შემშლელია. როგორც უკვე გითხარით, მე ყველა მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებასა და ახალი კავშირების ჩამოყალიბებას მივესალმები და საქართველომ ამით უნდა ისარგებლოს. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი შანსი გვაქვს, არსებული ნავთობსადენებისა თუ გაზსადენების გვერდით, კიდევ ახალი რამ შევიძინოთ, თუმცა რუსეთმა ძალიან ცუდი საქმე გააკეთა, როცა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობა. ამავე დროს, ისიც რამდენჯერმე მითქვამს, რომ თუკი რუსეთმა აღიარა ამ პატარა, ჯუჯა რეგიონების დამოუკიდებლობა და ვთქვათ, აფხაზეთს ექნება დამოუკიდებლობა, ჩეჩნეთმა რაღა დააშავა?! სამჯერ მეტი მოსახლეობაა, მოსახლეობის დიდი რაოდენობაა ინგუშეთშიც. რაც შეეხება დაღესტანს, ეს განსაკუთრებული პრობლემაა რუსეთისთვის, მისი მოსახლეობა ხუთ მილიონამდეა, აქვს კასპიის ზღვაზე გასასვლელი, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ამ რეგიონისათვის. ამჟამად, ამ ჯუჯა რეგიონების აღიარებით, რუსეთმა შექმნა ისეთი პრეცედენტი, რომელიც თვით რუსეთისთვის ქმნის პრობლემებს..

**— რუსეთი კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების საქმეში თითქოს აქტიური გახდა. ყარაბაღის საკითხის გააქტიურებასა და სომხურ-თურქული ურთიერთობების პროცესში, ის მედიატორის როლს ასრულებდა კიდეც. ის დანარჩენი მსოფლიოს თვალში, აგვისტოს ომის შემდგომ, თითქოს ცდილობს მშვიდობისმყოფელის იმიჯის შექმნას. რამდენად რეალურია ეს?**

— ჩვენ რა შეცდომებიც დავუშვით, ამაზე ლაპარაკი ტალიავინის კომისიის დასკვნაშიცაა. განმეორდება თუ არა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე, ვფიქრობ, უახლოეს წლებში, ეს მოსალოდნელი არ არის. რუსებმა თავის სახელმწიფოს თვითონ შეუქმნეს პრობლემები, როცა აღიარეს აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა.

იხ. 6 გვ.

◎ გამოძიება

# „მუხროვანის სამხედრო ამბოხის სპექტაკლი დავით სიხარულიძის მოსაშორებლად დადგეს“

## *ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან*



**— უპირველეს ყოვლისა, რა ეტაპზეა მუხროვანის სამხედრო ამბოხში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი?**

— ე. წ. ამბოხებულთა პროცესზე განსასჯელთა დაკითხვა დასრულდა, ამ ეტაპზე კი მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. მთლიანობაში 120-მდე მოწმეა დასაკითხი, ამიტომ პროცესი ჯერ შუა ეტაპამდეც არ მისულა. აღნიშნულ მოწმეებს შორის ის პირები არიან, რომლებიც მუხროვანის ბატალიონში მსახურობდნენ, ასევე ისინი, ვინც რეინჯერთა ბატალიონში იყვნენ, — სულ 9 რეინჯერი და მუხროვანის სატანკო ბატალიონის 20-მდე თანამშრომელი. რაც შეეხება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ კობა კობალაძეს, მასთან დაკავშირებით მთელს ამ საქმეში ერთადერთი მოწმე გია ღვალაძე არსებობს, რომელიც აცხადებს, თითქოს კობალაძეს ამბოხების მოწყობის საკითხზე რესტორანში შეხვდა, რაც თავად კობალაძემ ჩვენების მიცემის დროს უარყო. ღვალაძესთან და კიდევ 12 პირთან პროკურატურამ საპროცესო გარიგება გააფორმა და მათ თავისუფლების ორი წლით აღკვეთა მიესაჯათ.

**— როგორც ვიცი, ღვალაძესთან დაკავშირებით კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი და თქვენ გარკვეული პრეტენზიებიც გქონდათ...**

— ღვალაძის დაკითხვის დროს გამომჟღავნდა, რომ ის ცრუ ჩვენებებს იძლეოდა, განცხადებაც დაწერა, რომ ცრუობდა, მაგრამ შემდეგ ესეც უარყო. რაც შეეხება ჩვენს პრეტენზიას, როდესაც წინასწარ გამოძიებაში მისი ჩვენებები გამოქვეყნდება, ჩვენ უკვე აღარ გვექნება საშუალება, ის წინასწარი გამოძიების ამ მასალებთან დაკავშირებით დავკითხოთ, რისი უფლებაც კანონით გვაქვს. რადგან მასთან უკვე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ამის საშუალება აწი არ მოგვეცემა.

**— ამბოხთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა. ზოგი მას „დადგმულ სპექტაკლს“ უწოდებდა, ზოგიც სამშობლოს ღალატად მიიჩნევდა. თქვენ რას დაარქმევდით ამ ყველაფერს?**

— მე ჩემს აზრს იმ მასალებიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომელიც საქმეში არსებობს. პირველ რიგში, ვიტყვი, რომ არც ერთი განსასჯელი, თვით ისინიც კი, რომლებიც დანაშაულს აღიარებენ, არ ამბობენ, რომ მონაწილეობდნენ ამბოხებაში. ისინი აცხადებენ, რომ ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას, რომელიც სატანკო ბატალიონის უფროსის შოთა გორგიაშვილის მიერ იქნა ინიცირებული იმ მოტივით, რომ წაგებული ომის ფონზე 26 მაისს საზეიმო აღლუმის ჩატარება დაუშვებლად მიაჩნდა. ნაწილი აღიარებს ამ ფაქტს, ნაწილიც უარყოფს, მაგრამ რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ კობა კობალაძე თუნდაც დაუმორჩილებლობაში მონაწილეობდა, არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ღვალაძის ჩვენებას, რომელიც პროცესის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა,. არ მინდა, ვთქვა, რომ კობალაძე უდანაშაულოა, სხვები კი — დამნაშავეები, მაგრამ გარკვეული ჩვენებები მართლაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას. კობალაძეს ამ დაუმორჩილებლობასთან არათუ კავშირი არ ჰქონია, ინფორმაციასაც კი არ ფლობდა ასეთი გეგმის შესახებ.

**— მაშინ რითია გამოწვეული, თქვენი აზრით, კობალაძის დევნა?**

— ეს კითხვა, ბუნებრივია, ჩვენც გაგვიჩნდა და პასუხი მხოლოდ ერთია: პრეზიდენტმა 5 მაისსვე გააკეთა კობა კობალაძის საწინააღმდეგო განცხადება, რითიც მითითება მისცა ხელქვეითებს, კობალაძე დაეკავებინათ. მეორეც, მას რამდენიმე თვით ადრე მიუგზავნეს შსს-ს თანამშრომლები და იმის გამო, რომ მას ჯარში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ოჯახთან ერთად ქვეყნიდან წასვლა მოსთხოვეს.

**— რა იყო, თქვენი აზრით, ამ ქმედებების საფუძველი?**

— ჩემი აზრით, ეს გამოწვეული იყო კობალაძის წინაშე ხელისუფლების პიროვნული შიშით: მას ეშინოდა, ჯარი არ დაპირისპირებოდა და კობალაძეს არ მიმხრობოდა. არ ვიცი, პირადად სააკაშვილს ეშინია თუ არა მისი, მაგრამ ფაქტია, რომ რაც კობალაძემ სამხედრო სამსახური დატოვა, მაშინდელმა მინისტრმა ოქრუაშვილმა მისი ყველა კადრი ჩამოაქვეითა, ნაწილი კი საერთოდ გაათავისუფლა სამსახურიდან.

**— თუ სწორად მივხვდი, მიგაჩნიათ, რომ სამხედრო ამბოხის რეალური საფუძველი არ არსებობდა და იზიარებთ მათ აზრს, ვინც მომხდარს „ხელისუფლების მიერ დადგმულ სპექტაკლად“ მიიჩნევს. რა მიზნით დაიდგა, თქვენი აზრით, ეს „სპექტაკლი“?**

— მე ეს უფრო თავდაცვის იმდროინდელი მინისტრის დავით სიხარულიძის მოსაშორებლად დადგმული სცენა მგონია, რადგანაც ის მაინც ამერიკელების კადრია, არ იყო პიროვნება, რომელიც ბაჩო ახალაიასავით ყველა ბრძანებას შეასრულებდა. შეიძლება, ვინმემ იკითხოს, ხომ შეეძლოთ, უბრალოდ მოეხსნათო?! მაგრამ მოტივაციის გარეშე იმ მინისტრის გათავისუფლება, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობდა, არ იყო მართებული, ხოლო ამბოხი იყო იმის „დასტური“, რომ ეს ადამიანი სიტუაციას ვერ აკონტროლებდა.

**— ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში ახალაია-სიხარულიძის დაპირისპირებაზეც საუბრობდით. რა კონკრეტული ინფორმაცია გაგაჩნიათ ამასთან დაკავშირებით და რა მიზეზები ჰქონდა ამ დაპირისპირებას?**

— ამას საჯაროდ, რა თქმა უნდა, არავინ გამოიტანდა, მაგრამ მათი დაპირისპირების შესახებ იმთავითვე ქონავდა ინფორმაცია. შეიძლება, ითქვას, რომ ახალაია ჯარს ფაქტობრივად მაშინვე აკონტროლებდა და სურდა, თავად ყოფილიყო მთავარი ფიგურა ჯარში. ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეობის დროს ის არ ექვემდებარებოდა იუსტიციის მინისტრს, რადგან პრეზიდენტის მიერ დასმული კადრი იყო და ვერავინ შეეხებოდა. ის ერთპიროვნულ მმართველობასაა მიჩვეული და მას მხოლოდ სააკაშვილი აკონტროლებს.

**— რა ინფორმაცია გაქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ ოთანაძეს პერიოდულად უგზავნიდნენ კუდ-ის თანამშრომლებს, რათა მასზე ზეწოლა მოეხდინათ?**

— არ ვიცი, რა ხდებოდა კონკრეტულად ოთანაძესთან დაკავშირებით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უშუალოდ ამბოხში ბრალდებულებთან კუდ-ით დაწყებული და ახალაიათი დამთავრებული, ყველა თავისუფლად შედიოდა და ზეწოლას ახორციელებდა. მსგავსი რამ დღესაც სრულიად დაუბრკოლებლად ხდება ყველა პატიმართან მიმართებაში და ყოველგვარი კონტროლის გარეშე.

**— დაბოლოს, ამბოხების დღეს ვახტანგ მაისაიაც დააკავეს. რა ინფორმაციას ფლობთ მასთან დაკავშირებით?**

— ესეც ხელისუფლების პიარის ნაწილი იყო. მის მიმართ 6 თვის მანძილზე თვალთვალი მიმდინარეობდა და შემდგომ მისი ამ ფაქტთან მიბმა მოხდა. მასთან ერთად დააკავეს კიდევ რამდენიმე პიროვნება: ბატკუაშვილი, კვანჭახაძე, ჯანაშია და ოზოლაძე. თავად მაისაია ოზოლაძის პროცესზე მოწმის სტატუსით დაიკითხა და ბრალს არ აღიარებს. მათი სასამართლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, საქმის განხილვა დახურულად მიმდინარეობს, ამიტომ უფრო კონკრეტული დეტალების დასახელება ამ ეტაპზე არ შემიძლია.

**ირინა არდაშელია**

**ვარაუდი**

# „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“...

## სიტყვების გვჯერა, მაგრამ 21 დეკემბრისა - არა

**რევოლუციები მოდიან და მიდიან, საქართველო კი რჩება — დამარცხებული და გამარჯვებული ომებით, შადიმანებითა და ერის მამებით. ვისთვის „ვარდების რევოლუცია“ მილიონი ალისფერი ვარდის ზეციდან ცვენაა, ვისთვის კი ამ „იმპორტირებულმა რევოლუციამ ყველა ციხეში არსებული ბოროტება გადაფარა“... გამაოგნებელი კი თავად პრეზიდენტის სიტყვებია: ვარდების რევოლუცია ეს არის ილიას გზაზე შედგომაო.**

თუმცა, ამ ხელისუფლებისგან, რომელიც ყველაფერს საკუთარი პიარისთვის იყენებს, რატომღა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ილია ჭავჭავაძის სახელიც ამისთვის დასჭირდეს? კაბინეტებში ამ დიდი ერისკაცის სურათები უკიდიათ და ხალხის გულის ასაჩუყებლად მისი სახელის ნებისმიერ კონტექსტში მოხსენიებასაც არ ერიდებიან. ის კი ავიწყდებათ, რომ ილიას საფიცარი იყო: „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელთაც ღვთაებრივ საუნჯეებს უწოდებდა და თვალის ჩინივით მოფრთხილებას გვიბარებდა. ილია საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა და არა ვინმეს ვასალობაზე თუ უსიტყვო მორჩილებაზე. ამიტომაც განუგმირეს სამშობლოზე დღენიადაგ მფეთქავი გული. მისი სიკვდილიდან 102 წლის თავზე კი ვარდივით გაფურჩქნულ ხელისუფლებას არაფერი ეტყობა იმ სამი ღვთაებრივი საუნჯის მოფრთხილებისა. პირიქით — სწორედ მისი ფატალური შეცდომის „წყალობით“ ტერიტორიები რუსეთს დავუთმეთ და ათასობით სიცოცხლე ყოვლად გაუმართლებელმა ომმა შეიწირა.

ილია რომ მარტო საპიაროდ სჭირდებათ, ისიც ცხადყოფს, ხელისუფლების რუპორმა საინფორმაციო გადაცემებმა როგორ გააშუქეს 12 სექტემბერს ილიას ხსოვნის დღე საგურამოში — არც ერთ ტელეარხს ამ დღის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს, მაშინ, როდესაც მცხეთაში ჯონ ტეფტის საზეიმო გაცილება ტელევიზიებმა ომახიანად და ოპერატიულად გვამცნეს. ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების თანადგომის დაუნახაობა არ შეიძლებაო და მისასალმებელია ქალბატონი ჰილარი კლინტონის ბოლო მნიშვნელოვანი განცხადებაც — ჩვენ დავეხმარებით ქართველ ხალხს, რათა იგრძნონ, რომ თავის დაცვა შეუძლიათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის მიუღებელია ყოველივე უცხოურისადმი „გრძნობა-პატივი“ და დიდი მეფეებითა და ერის კაცებით მანიპულირება, რაც ამ ხელისუფლებას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

ძეგლებთან მებრძოლმა „ვარდოსნებმა“ ახლა ბათუმში, ილიას ძეგლი ამოიჩემეს და სხვაგან გადატანას უპირებენ, ნაციონალებს ის ურჩევნიათ, ძეგლებს შეეშვან და იგივე, აჭარის სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაზე სათანადოდ იზრუნონ — დაცარიელებულ და გაპარტახებულ ჩვენს სოფლებს აღორძინება რომ სჭირდება. ილიას გზით სიარული სწორედ ამაში გამოიხატება და არა ლოზუნგების ფრიალში.

ვარდების გაფურჩქვნა შემთხვევით არ მიხსენებია.

სხვათა შორის სტალინის გახმაურებული ლექსი: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა“... სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეს — იოსებ ჯუღაშვილს იგივე სოსელოს სწორედ ილია ჭავჭავაძემ გამოუქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 14 ივნისს. არც ილიამ იცოდა მაშინ და არც საქართველომ, ამ მშვენიერი ლექსების ავტორი მომავალში რომელი გზით ივლიდა — „ივერთ მხარისა“ და ილიას გზით თუ ილიას მოწინააღმდეგეების — სოციალ-დემოკრატების ბანაკში აღმოჩნდებოდა... სამწუხაროდ, ილიას ხელდასხმულმა სოსელომ მეორე გზა აირჩია...

დღეს „ვარდოსანი“ ხელისუფლება პირველ გზას ირჩევს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვარწმუნებს — ვარდების გაფურჩქვნა ილიასეული საქართველოს აღორძინებისათვის გვინდაო. სიტყვების კი გვჯერა, მაგრამ 21 დეკემბრისა არა. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ავტორიც და „ვარდოსანი რევოლუციის“ შემოქმედიც სწორედ ერთ დღეს არიან დაბადებული, და იქნებ ამაში რაღაც ფატალურიც არის?

**ნატა ნიბლაძე**

**პარტიებსა და მოძრაობებში**

# ჩვენი მიზანი სააკაშვილის რეჟიმის სრული დემონტაჟია!

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ, პარტიის ოფისში პრესკონფერენცია გამართა, სადაც დაადასტურა რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება. ოქრუაშვილის პოზიციაა, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გაგრძელება. ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მთავარი ამოცანა სააკაშვილის რეჟიმის სრული დემონტაჟია.**



ბესელიას თქმით, ორიოდე დღის წინათ გავრცელებული განცხადება, რომელშიც ნინო ბურჯანაძის მოწოდებას უერთდებოდნენ, ბევრმა ისე აღიქვა, თითქოს ალიანსი ან რაიმე სხვა გაერთიანება იქმნებოდა.

— ეს არ არის ალიანსი ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობასთან“. ეს არის იდენტურობა იმ პოზიციებისა, რომელსაც ბურჯანაძე ახმოვანებს.

შეკითხვაზე, ემთხვევა თუ არა ოქრუაშვილის ხედვა ირაკლი ალასანიას პოზიციას, ბესელიამ უპასუხა, რომ ალასანიას გუნდს მათგან განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვს.

— ის ფიქრობს, რომ დღეს არჩევნებისთვის უნდა ვემზადოთ, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქციების გზით პროცესები უნდა გავააქტიუროთ.

ჩვენ არ შევიცვლით პოზიციას და პრინციპულად ვიბრძოლებთ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ნოემბერში დავიწყებთ საპროტესტო აქციებს, პარტიის მოთხოვნები იგივეა, რაც იყო აპრილში, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ სხვადასხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობს და უახლოეს მომავალში გავაკეთებთ განცხადებას ერთიანი თუ ინდივიდუალური გეგმების შესახებ, — დაასკვნა ბესელიამ.

**მერი ქურასბედიანი**

**ინფორმაცია**

## თავად მოიკლეს, პედაგოგებს კი მოუმატეს

**ლაგოდეხის რაიონში საბავშვო ბაღების პედაგოგებს ხელფასი 25 ლარით გაეზარდათ. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი წვერავამ განუცხადა, 10-დან 15 ლარამდე თანხით გაიზარდა საბავშვო ბაღების ტექნიკური პერსონალის ანაზღაურებაც.**

**წვერავას განმარტებით, საბავშვო ბაღების პედაგოგებისათვის ხელფასების გაზრდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად მოხერხდა.**

## სეპარატისტები ახალ პრეზიდენტს ირჩევენ

**სეპარატისტულ აფხაზეთში ე.წ. პრეზიდენტობისთვის ბრძოლა დღითი დღე სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იძენს. აფხაზეთის ე.წ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატებისა და არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია უკვე დაიწყო.**

**რესგისტრაციას აფხაზური ე.წ. ცესკო 2 ნოემბერს დაასრულებს. ხოლო ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 12 დეკემბერს გაიმართება.**

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პოსტზე პირველი კანდიდატი უკვე დარეგისტრირდა — ეს 54 წლის უმუშევარი ფილოსოფოსი ვიტალი ბგანბაა.**

**ამას გარდა, სავარაუდოდ 2 ნოებრამდე აფხაზურ ე.წ. ცესკოში თავის კანდიდატურებს ასევე დაარეგისტრირებენ აფხაზეთის ამჟამად მოქმედი ე.წ. პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, ე.წ. ექს-პრეზიდენტი, ოპოზიციაში გადასული რაულ ხაჯიმბა და ასევე ოპოზიციური პარტიის „აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის“ ლიდერი ბესლან ბუთბა.**

**რაც შეეხება ახლახანს გადამდგარ, აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანს სტანისლავ ლაკობას, რომლის კანდიდატურის წარდგენას სეპარატისტულ აფხაზეთში ასევე ელიან, მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.**

## ოპერატიულ ქვედანაყოფს მოხალისეებისგან შეავსებენ

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ავტოინსპექციაში ოპერატიული რეაგირების ქვედანაყოფი შეიქმნა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტოინსპექციის უფროსის ალან ჯიოევის თქმით, ქვედანაყოფის ჯგუფი მოხალისეებისგან იქმნება, რომლებიც სპეციალური შემოწმების გავლის შემდეგ ქვედანაყოფში ჩაირიცხებიან.**

**— კანდიდატებისადმი წარდგენილი ძირითადი მოთხოვნა კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში ყოფნაა. ასევე მათ უნდა ჰქონდეთ კარგი ფსიქოლოგიური და მორალური მდგრადობა. პირველ ეტაპზე მათ კარგი ფიზიკური მომზადების დემონსტრირება უნდა მოახდინონ. ისინი ვინც ამ გამოცდას წარმატებით გაივლიან შემდეგ უკვე წერილობით გამოცდას აბარებენ, — აცხადებს ჯიოევი და დასძენს, რომ ქვედანაყოფში მოხვედრის მსურველები ასევე გაივლიან ფსიქოლოგიურ ტესტირებას.**

ჯი-ეიჩ-ენი

**მედია**

# ტრადიციულ ჟურნალისტიკას საფრთხე ემუქრება?

## კომუნიკაციის საშუალებები იცვლება

**სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ვიგებდით — ჟურნალისტები შორეულ ადგილებში მიემგზავრებოდნენ და იქიდან ინფორმაციები, ფოტო და ვიდეო მასალები ჩამოჰქონდათ. მოგვითხრობდნენ იმ მოვლენების შესახებ, რომელთა თვითმხილველები თვითონ იყვნენ... საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები სხვადასხვა თემის ირგვლივ წერდნენ სარედაქციო სტატიებს და თავიანთ მოსაზრებებს ასე გამოხატავდნენ, სხვა დანარჩენს კი მეგობრების მხოლოდ ვიწრო წრეს უზიარებდნენ.**

...მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ყველაფერი **ახალმა მედიამ,** ანუ **სამოქალაქო ჟურნალისტიკამ** შეცვალა. თუმცა საბოლოოდ შეცვლის თუ არა ის ძველ ჟურნალისტიკას, ამაზე მსჯელობა ფონდ **„ღია საზოგადოება — საქართველომ“** ფართო აუდიტორიისთვის დაგეგმა. ორდღიანი „ახალი მედიის ფორუმი“, რომელიც 12-13 სექტემბერს მთაწმინდის პარკში გაიმართა, სწორედ სამოქალაქო ჟურნალისტიკას მიეძღვნა.

ფორუმში ორასამდე მოქმედი ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და სტუდენტი მონაწილეობდა, ხოლო ინსტრუქტორების სტატუსით მოწვეულები იყვნენ ახალი მედიის სფეროს წამყვანი სპეციალისტები ამერიკიდან, ბრიტანეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, ასევე სასემინარო კურსები წაიკითხეს ადგილობრივმა სპეციალისტებმაც.

ორი დღის განმავლობაში მთაწმინდის პარკის ოთხ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პავილიონში პრეზენტაციები და სემინარები მიმდინარეობდა. ფორუმზე შეკრებილ მედია-საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, სურვილისამებრ აერჩია და მონაწილეობა მიეღო მისთვის საინტერესო თემატურ სემინარში.

ფორუმი ფონდის დირექტორმა **ქეთი ხუციშვილმა** გახსნა, რომელმაც ინტერნეტ მედიის როლზე გაამახვილა ყურადღება: **„უდავოა, რომ ახალ მედიას, რომელსაც დღეს უკვე სოციალურ მედიას უწოდებენ, დიდი მომავალი აქვს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ბოლომდე ვერ შეცვლის ტრადიციულ მედიას“,** — აღნიშნა მან.

ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ინტერნეტვერსია „ბლოგი“, რომლის საშუალებით ნებისმიერ ადამიანს, მით უფრო, ჟურნალისტს შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ვერბალური გვერდი, სადაც ყველა საკუთარ მოსაზრებასა და ინფორმაციას გამოაქვეყნებს და თავის ამბებსა და შეხედულებებს მთელ მსოფლიოს გაუზიარებს. ეს არის ახალი საინფორმაციო წყარო, რომელიც ყველა ინტერნეტმომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია. ერთმა პატარა საინტერესო ამბავმა კი შეიძლება გლობალური დიალოგი გამოიწვიოს და ამით ჟურნალისტი პოპულარული გახდეს. ვინაიდან თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობა არა მხოლოდ გაზეთის, ტელევიზიისა და რადიოს, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებით ყალიბდება, სოციალური მედია ამისთვის საუკეთესო და მარტივი გზაა.

მოკლედ ორი დღის განმავლობაში ხდებოდა მედიის წარმომადგენლებისთვის სამოქალაქო ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია: როგორ ხდება „ბლოგის“ წარმოება, ახალი ხმების, ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნება ინტერნეტში, როგორ შეიძლება „პოდკასტის“ შექმნა, ვებტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში ტელეარხის გახსნა და ა. შ.

**კომუნიკაციის საშუალებები იცვლება, მაგრამ საბოლოოდ შეცვლის თუ არა ინტერნეტი ტრადიციულ ჟურნალისტიკას, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ არ არის, თუმცა სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, არა. ვინაიდან საუკუნეების წინანდელი გამოგონება „გაზეტა“ ჯერჯერობით პოპულარულმა ტელევიზიამაც კი ვერ შეცვალა...**

**თეა მოსია**

ვითხოვ სიტყვას!

# „საქართველო იმიტომ ისჯება, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი კონფორმისტი და კოლაბორაციონისტია“



***„პირველის“ ინტერვიუ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელთან, მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წევრთან, ცნობილ რეჟისორ ქეთი დოლიძესთან***

**— ქალბატონო ქეთი, ბოლო 10-15 წლის მანძილზე ქართულ კინოსა და თეატრს სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა და ეს მუდმივი განხილვის საგანია, თუმცა გამოსავალი არ ჩანს. თქვენ როგორ შეაფასებდით დღეისათვის ქართულ კინოსა და თეატრში არსებულ ვითარებას?**

— ყველაფერი 90-იან წლებში გაჩერდა და იმის შემდეგ განსაკუთრებულად ღირებული არაფერი შექმნილა, თუ ვინმე საზღვარგარეთ არ წავიდა, როგორც ოთარ იოსელიანი და იქ რამე არ გააკეთა. მერე სამოქალაქო ომი დაიწყო, რასაც შესაბამისად, უკუსვლა მოჰყვა. ვფიქრობ, მართალია გამონათქვამი „როდესაც ქვემეხები ისვრიან, მუზები დუმან“. ადამიანი ასეთ დროს სხვა განზომილებაში გადადის, სხვა საჭირბოროტო საკითხები ხდება პრიორიტეტული. მე ახლა ვარ მზად, გავაანალიზო ის ყველაფერი, რაც მაშინ ხდებოდა. სხვათა შორის, საქართველოში ამ ყველაფრის გაანალიზება არ მომხდარა, ამიტომაც არაფერს არ ერქმევა თავისი სახელი და პატიოსან ფილმსაც ვერავინ აკეთებს. მოგეხსენებათ, ქართველებს გვიყვარს ჩვენი წარსულის გაიდეალიზება და ადამიანებს ძალიან მარტივად ვრაცხავთ გმირებად. ადამიანი, რომელიც პოლიტიკაშია გარეული, არ შეიძლება, წმინდანად გამოაცხადო სიცოცხლეშივე, — ეს ჩვენი, ქართველების უბედურებაა. ჩემთვის ილია ჭავჭავაძე არის და იქნება ამომავალი წერტილი, სწორედ იმიტომ, რომ ერს თავის სათქმელს პირდაპირ ეუბნებოდა, — ერს, რომელმაც შემდეგ ტყვია ესროლა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თეატრისა და კინოს ჩავარდნა არ მიკვირს. ამასთან, არის ფულის პრობლემაც. ეს ხელისუფლება ფულს იმაში კი არ ხარჯავს, რომ ვიღაცამ რაღაც ღირებული გადაიღოს და შექმნას, არამედ თავისი თავის რეკლამაში. თუმცა თეატრის კრიზისი მარტო საქართველოში კი არა, მთელს მსოფლიოშია.

**— როგორ ფიქრობთ, როდის იყო ქართული კინოსა და თეატრისთვის ყველაზე კარგი პერიოდი?**

— 1960-70-იანი წლები ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილი აყვავების ჟამი იყო და ამას ვერ უარვყოფთ. ჩვენ ფულს ცენტრალიზებულად გვაძლევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფილმები საკასო იშვიათად იყო და, შესაბამისად, ამით საბჭოთა კავშირი ძალიან დიდ ფულს ვერ აკეთებდა. სამაგიეროდ ჩვენს ფილმებს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთ. ქართული ფილმი ნამდვილი ხელოვნება იყო, არსებობდა ასეთი გამოთქმაც — „ქართული კინოს ფენომენი“. სახეები, აზროვნება, — ამ ყველაფერმა შეუწყო ხელი ქართული კინოს ფენომენის ჩამოყალიბებას. მერე იმპერია დაიშალა, შესაბამისად, დაირღვა ცენტრალიზებული დაფინანსების პრინციპი და შეიქმნა როგორც ფინანსური, ისე სხვა სახის პრობლემები, რომლებიც დღემდე ვერ დავძლიეთ.

**— რა შეგიძლიათ, თქვათ ახალი თაობის რეჟისორებზე? როგორ შეაფასებთ მათ პროფესიონალიზმს?**

— პროფესიონალიზმის თვალსაზრისით უმძიმესი მდგომარეობაა. სულ „ველოსიპედის გამოგონებაში“ ვართ, თითქოს რაღაც ექსპერიმენტულს ცდილობენ, „ექსპერიმენტული ეს“, „ექსპერიმენტული ის“... რეალურად კი ყველაფერი ექსპერიმენტული დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა. რომელ პროფესიონალიზმზეა საუბარი, როცა ახალგაზრდა თაობას პიესის გამართულად წაკითხვა უჭირს?!

ამას ფინანსური პრობლემებიც ემატება. მიკვირს, როცა მთავრობა ქვეყნის ეკონომიკაზე საუბრობს. რომელ ეკონომიკაზეა საერთოდ ლაპარაკი, გარშემო რა ხდება, ვერ ხედავენ?! პირველი, რაც კრიზისის გამო მსოფლიოში შემცირდა, სასტუმროების მშენებლობაა, ჩვენთან კი ისინი ლიწინ-ლიწინით შენდება... ამ ყველაფრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ აღარ მესმის, რა არის ქვეყნისთვის პრიორიტეტული...

გარდა ფინანსური პრობლემებისა, ჩვენს სფეროში შექმნილ მდგომარეობას განათლების სისტემაში არსებულ აბსოლუტურ კატასტროფას ვუკავშირებ და ვთვლი, რომ ბევრი რამ აქ შეგნებულად კეთდება, მათ შორის — ისიც, რაც დღეს თეატრალურ ინსტიტუტში ხდება. არ ვიცი, სიმარტივისკენ მივდივართ, თუ საითკენ, ან რა არის ის, რაც ხდება. არიან პედაგოგები, რომლებიც მართლაც ერის ღირსებას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ინსტიტუტში აღარ არიან. კულტურის სამინისტროს ინიციატივა კინოსა და თეატრის გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ კარგია, მაგრამ იგივე კულტურის სამინისტრო ქეთი დოლიძეს თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებს, რითაც პირდაპირ ამბობს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი პოლიტიკური ადგილია!

**— ამ თემაზე უფრო დეტალურად მინდა, გესაუბროთ. თვლით, რომ თქვენს თანამდებობიდან გათავისუფლებას სწორედ პოლიტიკური სარჩული აქვს?**

— ჩვენს სფეროში მმართველების პოსტი რომ პოლიტიკურია, ეს ნამდვილად ვიცი, იმიტომ, რომ ვერც ერთი მმართველი ვერ გაჭაჭანდება ვერც ერთ თეატრში, თუ მოქმედი რეჟიმის მიმართ პოლიტიკურად ტოლერანტული არ არის. როდესაც დამნიშნეს, ეს გრიგოლ ვაშაძის გადაწყვეტილება იყო. გავიდა რამდენიმე თვე. ვმუშაობდი ჩვეულებრივ, ენერგიას არ ვიშურებდი... სამინისტრომ ერთი გროშიც კი არ გადმომიგდო, არანაირი დახმარება არ იყო, აბსოლუტურად მარტომ ამ გაუსაძლის პირობებში შევძელი, რომ ოთხი სპექტაკლი გაგვეკეთებინა, თითქმის ხუთი პრემიერა შეიძლება ჩაითვალოს. ამ ყველაფერს ფული არ სჭირდებოდა?! რატომ არ მკითხა კულტურის სამინისტრომ, როგორ ამოძვერით ამ მდგომარეობიდანო?! მაგრამ როგორ მკითხავდა, როცა ერთხელ არავინ მოსულა და არ დაინტერესებულა?! — გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მინისტრის მოადგილემ დაგვდო პატივი...

რაც შეეხება უშუალოდ ჩემს თანამდებობიდან გათავისუფლებას და ამასთან დედაქალაქის მერიის კავშირს, მე გამოვედი მიტინგზე და ვთქვი ის, რაც სათქმელი იყო. ჩემი განსაკუთრებული პროტესტი იმან გამოიწვია, რომ ზუსტად მაშინ, როდესაც თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი „საჩუქარი“ იყო დაგეგმილი, გავიგე, რომ ბატონმა უგულავამ იმავე დროისთვის საკუთარი ფესტივალის ჩატარება გადაწყვიტა. გესმით, რას ნიშნავს, რომ ქალაქის მერი საკუთარ ფესტივალს ატარებს?! ის შავი არშიები, რომელიც ამ ფესტივალის სარეკლამო ბილბორდებს აქვს, სიმბოლურია ამ ყველაფრის. ქალაქი გადაშავებულია ასეთი აფიშებით, უცხოელებიც კითხულობენ, რატომ არის ყველა თეატრზე შავი არშია?! მოკლედ, იმაზე გაგიჟდნენ, მე რომ ამაზე ხმა ამოვიღე... მიუხედავად იმისა, რომ ბევრს არ დავდივარ, აბსოლუტურად ყველა სპექტაკლი ვიცი, ამ ავადსახსენებელ ფესტივალზე ჩამოტანილი და შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ გამორჩეულად საინტერესო არც ერთი მათგანი არ არის.

**— ხელისუფლება კი სხვადასხვა ჟურნალისტებთან საუბარში საპასუხო ბრალდებებს გიყენებთ და ამტკიცებს, რომ მერიის მიერ ორგანიზებული ფესტივალის „ჩაგდების“ მიზნით თქვენს უცხოელ კოლეგებითან წერილები დააგზავნეთ...**

— პირველ რიგში, ტყუილია, რომ ამბობენ, თითქოს მე იმთავითვე ვიცოდი ამ ფესტივალის შესახებ, — არაფერიც არ ვიცოდი! უცხოელებისგან გავიგე, რომ არსებობს ფესტივალი „თბილისი ინტერნეიშენალი„ თავისი ორნახევარი მილიონით და ერთ-ერთ კაცს, რომელიც აქ თეატრმცოდნე ლევან ხეთაგურმა ჩამოიყვანა, უზარმაზარ ფულს უხდიან. ჩვენს ფესტივალს — „საჩუქარს“ 14 უცხოელი დირექტორი ჰყავს, ჩვენ კი — ქართველები ხუთნი ვართ. ბრუკი და მისი მოადგილე ამ ფესტივალის დირექტორები არიან. ამათი ფესტივალის ამბავიც სწორედ ბრუკის თეატრიდან შევიტყვე: „დაგვირეკეს, დაგვპატიჟეს და უზარმაზარ ფულს გვთავაზობენ“. მე არ ვარ ამ ხალხთან ანგარიშვალდებული, არ ვარ ვალდებული, განვუმარტო, რატომ გაქრა თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი?! 2008 წელს თუ გაქრა, მათ იცოდნენ, რომ ომი იყო და ეს იყო მიზეზი. ვერ წარმომედგინა, რომ საქართველოში ომის მერე ამდენი ტაშ-ფანდურა და კონცერტი გაიმართებოდა, თორემ ვიტყოდი, რომ ეს ხალხი უფასოდ მოდის, ჰონორარს არ ითხოვს და ჩვენს გვერდით დგომა სურს. მე ეს უბრალოდ ვერ ვიკადრე. ასეთ დროს აზრადაც არ მომივიდოდა, რომ მერიაში ან კულტურის სამინისტროში წავსულიყავი და მეთქვა, „ახლა გვჭირდება ფესტივალი, გავაკეთოთ-მეთქი“. არადა, ისინი უფასოდ ჩამოდიოდნენ!

იხ. 9 გვ.

აქტუალური თემა

# „ტალიავინი ობიექტურია და მისი დასკვნა ჭკუის სასწავლებელია ყველასთვის“

(მეოთხე გვერდიდან)

ჩვენ ერთი შეცდომა კიდევ დავუშვით, გავწყვიტეთ რა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. ჯერ ერთი, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, არ იყო აუცილებელი. არ უნდა გაგვეუქმებინა საელჩო. საელჩო უნდა შეგვენარჩუნებინა იმიტომ, რომ ომის დროსაც უნდა ფიქრობდე, ომი დამთავრდება და მერე უნდა იზრუნო ურთიერთობის აღდგენაზე. ახლა ამ ურთიერთობების აღდგენის არავითარი არხი არ არსებობს.

**— როგორ ხედავთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებს? რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად აქტიურად ეხმარება, თუმცა მოხდა ერთი პოზიტიური ფაქტიც — რუსულმა ეკლესიამ აფხაზეთის ეპარქია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში სცნო.. როგორ ფიქრობთ, არსებული რეალობებით, რამდენად ახლოს ვართ ან პირიქით, სულ უფრო ვცილდებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობებს?**

— რუსეთის ეკლესიის მხრიდან ქართული იურისდიქციის აღიარება თავისთავად დადებითი მოვლენაა. ეს მორალურად ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ეს გამარჯვება არ არის და რეალურ ძალთა თანაფარდობას დიდად ვერ შეცვლის. ისე, რაც უფრო იშვიათად მივმართავთ ჩვენს საპატრიარქოსა და პატრიარქს პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად, მით უკეთესია. არ უნდა შევაწუხოთ და არ ჩავრიოთ პოლიტიკურ პროცესებში. პატრიარქი ბრძენი კაცია — იცის როდის გამოთქვას თავისი აზრი, რითაც მთელი ერი იხელმძღვანელებს.

**— ბატონო ედუარდ, ქართული ოპოზიცია რადიკალებად და ზომიერებად ყალიბდება, ხელისუფლება კი მოსალოდნელ მორიგ საზოგადოებრივ პროტესტს არ იმჩნევს და ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს გვთავაზობს. თქვენი აზრით, როგორი იქნება „პოლიტიკური შემოდგომა“ საქართველოსთვის, რას ურჩევდით ოპოზიციას ახალი გაერთიანებების პროცესში და რამდენად დაიმედებული უნდა იყოს ხელისუფლება? თქვენი აზრით, სად იდგება ქართული საზოგადოება?**

— როდესაც მაისში, თბილისში, სტადიონზე ასი ათასი ადამიანი შეიკრიბა, ეს იყო ოპოზიციური მოძრაობის კულმინაცია. ეს კულმინაცია არ უნდა დაცემულიყო. სამების ტაძარში რა უნდოდათ, რომ წავიდნენ?! ოპოზიციამ სულ სხვა საკითხზე გადაიტანა ყურადღება. შემდეგ, ნელ-ნელა შესუსტდა ოპოზიციური აქტიურობა. დღეს ვერ ვიტყვით, რომ ოპოზიცია იმ პოზიციაზეა, რაც 26 მაისისთვის იყო. ამიტომ, ახლა რისი მიღწევა შეიძლება, ძალიან ძნელი სათქმელია. დღეს პრეზიდენტს აქვს თავისი რესურსები, თავისი რეზერვები. ესაა: არმია, პოლიცია, გამგებლები, მერები. პრეზიდენტს ძალიან დიდი საშუალება აქვს თითოეული მათგანის გამოყენებისათვის. ოპოზიციამ ხელიდან გაუშვა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი, როდესაც კულმინაციას მიაღწია ქუჩაში გამოსულმა მოსახლეობამ. ამჟამად ძალიან ძნელი იქნება ამ მდგომარეობამდე დავბრუნდეთ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდეს, თუკი პრეზიდენტი კეთილ ნებას გამოიჩენს. თუ პრეზიდენტი ამის წინააღმდეგი წავიდა, მაშინ ოპოზიცია ამასაც ვერ შეძლებს. თავისთავად, თვითმმართველობის არჩევნები ქვეყნისთვის დიდი მოვლენაა, მაგრამ როდის დაინიშნება, რა მომენტში და ვინ შეარჩევს მისთვის სასურველ და ხელსაყრელ დროს, ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტს ძალიან დიდი რესურსი აქვს. ვიდრე პრეზიდენტი სააკაშვილია, რაიმე პოლიტიკურ გადახალისებას არ უნდა ველოდოთ. მან სტადიონზე შეკრებილი ასი ათასი კაცით დიდი კრიზისი გადაიტანა, რასაც გაუძლო და არ დაიბნა... ერთ რამეში არ ვეთანხმები პრეზიდენტს, რომ ხალხთან შეხვედრას ერიდება. ერთია „სახალხო დიალოგის“ ფორმატით რას იტყვი ტელევიზიით და მეორე, რას ეტყვი უშუალოდ მოსახლეობას. ამდენად, შეიძლება დაინიშნოს არჩევნებიც, თუკი პრეზიდენტი იქნება საამისოდ განწყობილი, მაგრამ მას ვერ აიძულებენ ახლა. ამის ძალა ოპოზიციას უკვე აღარ აქვს. ყველა შემთხვევაში, საზოგადოებამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა და ეს პრეზიდენტის ზემოთ ჩამოთვლილი ადმინისტრაციული რესურსის პირობებშიც კი. არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოება გამოვა და სააკაშვილი გადადგება. ეს არის ურთულესი პროცესი, რომელიც საქართველომ უნდა გაიაროს. ჯერჯერობით სააკაშვილის პოლიტიკური პოზიციები საკმაოდ მყარია.

**— დასასრულ, გვსურს გკითხოთ ამერიკის პრეზიდენტის ბარაქ ობამას იმ ჯილდოზე, რომელიც ნობელის კომიტეტმა მას ახლახან მიანიჭა. იგი ამერიკის მეოთხე პრეზიდენტი გახდა, რომელსაც ნობელის პრემია მშვიდობის დარგში გადაეცა. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას? ესაა ამ კაცის რეალური დამსახურება, თუ როგორც დასავლური მედია წერს, ავანსად გაცემული ჯილდო მომავალი საქმიანობისათვის?**

— როცა ამერიკაში წინასაარჩევნო პერიოდის დროს, ობამას კანდიდატურა გამოჩნდა და მან დაიწყო პირველი გამოსვლები, მისი არც ერთი გამოსვლა არ გამომიტოვებია. მსოფლიო პოლიტიკაში მე დავინახე ახალი სახე, სრულიად ახალი პიროვნება, რომელიც მოვიდა ახალი აზროვნებითა და მსოფლიო მოვლენების ახალი ხედვით. ვფიქრობ, ჩემს შეფასებებში არ შევვცდი. მე ძალიან გამიხარდა, როცა ამერიკის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლონეთსა და ჩეხეთში ანტისარაკეტო სისტემების განუთავსებლობასთან დაკავშირებით. არ ვიცი, აშშ დღეს სად განათავსებს ამ სისტემებს, ან შეიძლება მან საერთოდ უარი თქვას მასზე. სხვათა შორის, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, მაშინ მივაღწიეთ ამერიკელებთან შეთანხმებას, რომ ორჯერ შევამცირეთ ბირთვული იარაღის რაოდენობა. „ცივი ომის“ დამთავრების ერთ-ერთი მატერიალური საფუძველიც სწორედ ეს გახლდათ. სხვანაირად ვერც გერმანიის გაერთიანება შედგებოდა, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიგველო.

## სეპარატიზმი და ეკლესია




**ამ დღეებში ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში სოხუმის ეპარქიის თვითმარქვია ეპისკოპოსმა ბესარიონმა (აპლიამ, მისი ნამდვილი გვარია პილია), განაცხადა, რომ სოხუმში შემდგარმა აფხაზეთის სამღვდელოების კრებამ სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია საქართველოს ეკლესიის შემადგენლობიდან ოფიციალურად გასულად გამოაცხადა და მისი დამოუკიდებელი არსებობა დააფუძნა.**

რელიგია და ეკლესია რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლების ხელში ყოველთვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება საქართველოს სრულ ანექსირებასა და ქართველი ხალხის სულიერ გადაგვარებაში. ამ პოლიტიკის აშკარა გამოხატულება იყო რუსეთის მეფის ალექსანდრე I-ის 1811 წლის 30 ივნისის განკარგულება, რომლის საფუძველზე გაუქმებულ იქნა 16-საუკუნოვანი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია და შეიქმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელსაც მთელი 100 წლის განავლობაში (1817-1917 წლებშიძ სათავეში ედგნენ მხოლოდ რუსი ეგზარქოსები.

განსაკუთრებული ზრახვები ჰქონდა რუსეთს საქართველოს ძირძველი მხარის – აფხაზეთის მიმართ. აფხაზი ხალხის სულიერი ცხოვრების რუსიფიკაცია განსაკუთრებული ტემპით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, როცა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ აფხაზეთის ეპარქია უხეშად მოწყვიტა იმერეთის ეპარქიას და ის უშუალოდ საქართველოს ეგზარქოსს დაუქვემდებარა (1885 წ.ძ. 1886 წლიდან მოყოლებული 1919 წლამდე სოხუმის ეპარქიას სათავეში სულ რუსი ეპისკოპოსები ედგნენ, გამონაკლისს წარმოადგენს 1906 წელი, როდესაც 11 თვის განმავლობაში ეპისკოპოსად იყო ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე კირიონი.

რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლების გეგმით სოხუმის საეპისკოპოსო ყუბანის ეპარქიაში უნდა შესულიყო, ხოლო აფხაზეთი ყუბანის ოლქს უნდა შეერთებოდა ადმინისტრაციულად.

XIX საუკუნის 90-იან წლებში კავკასიის სამოქალაქო უწყების მთავარმართებელი თავადი გოლიცინი და ეგზარქოსი ალექსი უწმინდეს სინოდის ობერპროკურორს ურჩევდნენ: „სასურველია სოხუმის ეპარქია, თავისი უპირატესად აფხაზი და რუსი მოსახლეობით (ისინი აშკარად ტყუოდნენ. – გ. რ.ძ მოვწყვიტოთ სავსებით არასასურველ ქართულ გავლენას. ყუბანის მხარეში ითვლება წმინდა რუსული მართლმადიდებლური მოსახლეობა 1716245. ამ მასაში ადვილად გაითქვიფებოდა 100 000 მრავალეროვანი მოსახლეობა ზღვისპირეთისა“, ე. ი. აფხაზეთის მოსახლეობაო. 1898 წლის 30 სექტემბერს უწმ. სინოდის ბრძანებულების საფუძველზე სოხუმის ოლქის სამრევლოებში, სადაც უმეტესად აფხაზები ცხოვრობდნენ, ღვთისმსახურება და ქრისტიანული ცერემონიალი უნდა წარმოებულიყო სლავიანურ (რუსულძ ენაზე. საქართველო-იმერეთის ეგზარქოსის 1898 წ. 17 მარტის ბრძანებულების საფუძველზე აფხაზეთისა და სამურზაყანოს სასულიერო სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება.

ცოტა მოგვიანებით, 1901 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა სინოდის წინაშე აღძრა საკითხი სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის შესახებ. იგივე პოლიტიკას აგრძელებდა ეპისკოპოსი სერაფიმ ჩიჩაგოვიც (1904-1905 წ.წ.ძ.

XX საუკუნის დამდეგს რუსი კლერიკალების განზრახვა – აფხაზეთის ეკლესია ჩამოეშორებინათ საქართველოს ეკლესიისაგან, მაშინ საქართველოსა და თვით რუსეთში არსებული რევოლუციური მოვლენების პირობებში ვერ მოხერხდა, მაგრამ მასზე ხელი რუს შოვინისტებს არასდროს აუღიათ. 1916 წელს, როდესაც სინოდმა, ქართველთა მხრივ დიდი წინააღმდეგობის გამო, საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმება პირდაპირი გზით ვერ მოახერხა, მან სხვა მხრიდან მიიტანა მასზე იერიში და გადაწყვიტა, სოხუმის ეპარქია საქართველოს ეკლესიისგან გამოეყო. რუს კლერიკალებს ამით სურდათ ქართველი და აფხაზი ხალხის გათიშვა და მათი ურთიერთდაპირისპირება, მაგრამ მაშინ მათ თავიანთი განზრახვის განხორციელება ვერ შესძლეს, რადგან მას წინ აღუდგა არა მარტო ქართველი სამღვდელოება, ინტელიგენცია და ფართო საზოგადოებრიობა, არამედ მოწინავე აფხაზი მოსახლეობაც, რომელმაც აშკარად ზურგი შეაქცია ამ განზრახვას და ერთმნიშვნელოვნად გამოვიდა მის წინააღმდეგ.

1916 წლის აპრილის შუა რიცხვებში აფხაზებმა ამ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობით მიმართეს უწმინდეს სინოდს: „უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე, აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდებოდა ქართველი სამღვდელოების მიერ, რომელიც საერთო იყო ქართული ეკლესიისთვის და რომელიც მუდამ იმყოფებოდა მმართველი ფეოდალებისა და აფხაზეთის ხალხის მფარველობის ქვეშ. ამ სამღვდელოებას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და საოცარი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ქრისტიანობის გავრცელებაში ყველა იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანობას ამა თუ იმ დამაბრკოლებელი მიზეზით ფეხი ვერ მოეკიდნა“. აფხაზები მოითხოვდნენ სოხუმის ეპარქია კვლავ დარჩენილიყო საქართველოს ეპარქიის შემადგენლობაში.

მაგრამ აფხაზები მხოლოდ სინოდისადმი მიმართვას როდი დასჯერდნენ. მათი მრავალრიცხოვანი დეპუტაცია 1916 წლის 25 აპრილს თავად ალ. შარვაშიძის მეთაურობით კავკასიაში მეფის ნაცვალს მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა და მოითხოვა სოხუმის ეპარქია არ გამოყოფოდა საქართველოს ეპარქიას. იგივე საკითხი დააყენა ამ დელეგაციამ საქართველოს ეგზარქოს პლატონთან წვევისას.

ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის შედეგად სოხუმის ეპარქია მაშინ საქართველოს ეკლესიის წიაღში დარჩა და ამ ერთიანობის მტრებმა ისტორიული ტრადიციისა და სამართლიანობის დარღვევა ვერ მოახერხეს, მაგრამ მასზე ხელი სრულებითაც არ აუღიათ. 1919 წელს რუსი კლერიკალების წაქეზებით აფხაზეთის ინტელიგენციის ერთმა მეტად მცირე ნაწილმა გადაწყვიტა შეექმნათ სოხუმის დამოუკიდებელი ეკლესია. ამ მიზნით 1917 წლის 24-27 მაისს მათ მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა, „დამოუკიდებელი, ნაციონალური აფხაზური ეკლესიის ყველა უფლებითა და მისთვის ყველა აუცილებელ დაწესებულებებით ქ. სოხუმში“.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ეკლესია დამოუკიდებლად გამოცხადდა, ფაქტიურად არაფერი შეცვლილა. მის სათავეში 1919 წლის მარტამდე კვლავ იდგა უწმ. სინოდის მიერ ჯერ კიდევ 1914 წელს დანიშნული ეპ. სერგი.

1919 წლის 7 ოქტომბერს აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოგვარების მიზნით მოწვეული იქნა აფხაზეთის სამღვდელოების კრება, რომელსაც ესწრებოდა ყველა ეროვნული სამრევლოს და მართლმადიდებელი მოსახლეობის ყველა თემის წარმომადგენელი, სულ 350 კაცი. კრებამ დაადგინა: 1. „ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე აღდგენილი ხდება საქართველოს საკათალიკოსოს თვითმდგომი ეპარქია სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახელწოდებით; 2. ეპარქიის სათავეში დგას ეპისკოპოსი, რომელსაც აქვს კათედრა და რეზიდენცია ქ. სოხუმში; 3. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შედის მრევლის ეროვნულობის განურჩევლად ყველა სამრევლო, მონასტერი და საეკლესიო დაწესებულება მდინარე ენგურსა და მდინარე მეხადირს შორის“. ეპარქიას სათავეში ჩაუდგა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაიაძ. აფხაზეთის ეპარქია იყო და დარჩა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში, როგორც მისი ისტორიულად და ორგანულად განუყრელი ნაწილი.

მაგრამ რაც რუსმა შოვინისტებმა მაშინ ვერ მოახერხეს, შეძლეს 100 წლის შემდეგ.

დღევანდელი რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა იმდროინდელი პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა და არა შემთხვევითი მოვლენა.

რასაკვირველია, დედაეკლესიისგან სოხუმის ეპარქიის განდგომას არ სცნობს არამცთუ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ თვით რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიაც, თუმცა მისი ცალკეული წარმომადგენლები მზად არიან ჩავიდნენ აფხაზეთში და იკისრონ აფხაზების სულიერ მოძღვართა როლი. მაგრამ თვითმარქვია ეპისკოპოს ბესარიონმა, მისმა მცირერიცხოვანმა აფხაზ და რუსმა თანამოაზრეებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამა თუ იმ ეპარქიის განდგომა დედაეკლესიისგან საღვთო კანონებით აკრძალულია და მკაცრად ისჯება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ აფხაზეთის მთელი ქრისტიანული კულტურა, ქართული კულტურის უდიდესი ზეგავლენის მატარებელია. აფხაზეთში არსებულ ყველა ეკლესიასა და ტაძარში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ძველი ქართული წარწერები და ფრესკები, რაც კარგად არის ცნობილი მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო სტრუქტრა, აფხაზეთის ეკლესია არასოდეს არ არსებულა, თვით „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ არსებობისას მის უზენაეს პირს „ჩრდილოსა აფხაზეთსა და ყოვლისა ქვემოისა იმერეთის კათალიკოზი“, ან კიდევ: „პონტოი ჩრდილოეთით და აფხაზთ-იმერთა და ყოველთა ქვემოისა ივერიის კათალიკოზი“ ეწოდებოდა, ე. ი. ეს „აფხაზეთის საკათალიკოსო“ იყო „აფხაზეთის სამეფოს“, ანუ დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ეკლესიათა გაერთიანება, რომელიც თავის მხრივ, საქართველოს გაერთიანების შემდეგ შევიდა სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაში, როგორც მისი ისტორიული და ორგანული ნაწილი.

მკითხველს ბუნებრივია აინტერესებს, თუ რა მდგომარეობაშია აფხაზეთის ეკლესია-მონასტრები დღეს, მოქმედებენ ისინი თუ არა ამჟამად? სათანადო აფხაზური წყაროების მიხედვით, რომელიც საკმაოდ საეჭვოა, დღეს აფხაზეთში მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა 144-ია. მათ შორის გაგრის რაიონში – 14, გუდაუთის რაიონში – 32, სოხუმის რაიონში – 20, გულრიფშის რაიონში – 30, ოჩამჩირის რაიონში – 30, ტყვარჩელის რაიონში – 10, ხოლო გალის რაიონში – 8.

რაც შეეხება მოქმედ მონასტრებს, აფხაზეთში ასეთი სულ 2-ია – წმინდა მოციქული სიმონ კანანელის მონასტერი ახალ ათონში და წმინდა იოანე ოქროპირის მონასტერი კამანში, სოხუმის მახლობლად.

ამრიგად, რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა რელიგია და ეკლესია გამოეყენებინა თავისი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთში. ამის ცხადი მაგალითია აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა საქართველოს დედაეკლესიისაგან სეპარატისტი სამღვდელოების დიდი მცდელობითა და რუსეთის ხელისუფლების უშუალო მხარდაჭერით. მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ აფხაზი ხალხი, მიუხედავად მომხდარი ტრაგედიისა, საბოლოოდ არ გაწყვეტს ქართველ ხალხთან გენეტიკური და სულიერი კავშირის ჯაჭვს და იგი, ადრე თუ გვიან, გამთლიანდება.

**გივი როგავა,**
**აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

SIC!

# ზურაბ ნოღაიდელი სააკაშვილს სამეგრელოში თარეშს უკრძალავს

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ზუგდიდში ამ მოძრაობის სამეგრელოს ორგანიზაციის თავმჯდომარეებს შეხვდა. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ალიანსმა მასსა და ლოთი ქობალიას შორის, რომელიც ამ მოძრაობის სამეგრელოს ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ნოღაიდელმა მათი გაერთიანების სამი მიზეზი დაასახელა: „პირველი ის არის, რომ მე და ლოთი დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს ერთნაირად ვხედავთ, მეორე, ჩვენი გაერთიანება ეს იქნება სიმბოლო ეროვნული თანხმობისა და მესამე – ჩვენ არ მივცემთ მიხეილ სააკაშვილს იმის საშუალებას, რომ ითარეშოს სამეგრელოში“, – თქვა ზურაბ ნოღაიდელმა.**



მისი დაკვირვებით საქართველო ინგრევა და ამიტომაც გაერთიანება აუცილებელია.

ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება ლოთი ქობალიაც: „ბევრი ითქვა ეროვნულ თანხმობაზე, მაგრამ მისი არც ერთი მუხლი არ შესრულებულა. ჩვენი ლოზუნგია მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი ხსნა ჩვენს გაერთიანებაში და სამართლიანი საქართველოს შექმნაშია“, – თქვა ლოთი ქობალიამ.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ აქტიურად იმუშავებს ორგანიზაციის სტრუქტურების ჩამოყალიბებისთვის. და 15 ნოემბრიდან იწყებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. „ჩვენ ვიქნებით ყველგან, ვივლით კარდაკარ. მიხეილ სააკაშვილს ჰგონია, რომ სამეგრელოს და დანარჩენი რეგიონების საარჩევნო ხმები ჯიბეში უდევს. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ უკვე ასე არ არის, ეს დამთავრდა. ჩვენ მას ჯერ საზოგადოებაში დავამარცხებთ, მერე კი საარჩევნო ყუთებთან“, – დასძინა ზურაბ ნოღაიდელმა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კლინტონმა რუსებს უთხრა, რომ საქართველოში ანტი-სარაკეტო ელემენტების დაყენება ნაკლებად სავარაუდოა

**აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მოსკოვში მიანიშნა, რომ საქართველო, ალბათ, არ უმასპინძლებს ანტისარაკეტო თავდაცვით სისტემას.**

კლინტონმა რუსეთის ცნობილ რადიოარხს 13 ოქტომბერს უთხრა – მას „არა აქვს იმის ვარაუდის საბაბი“, რომ ვაშინგტონი საქართველოს აირჩევდა იმ თავდაცვითი სისტემის ზოგიერთი ელემენტის განსათავსებლად, რომელმაც ევროპა პოტენციური შეტევისგან უნდა დაიცვას.



ობამას ადმინისტრაციამ სექტემბერში განაცხადა, რომ უარს ამბობს ანტისარაკეტო ფარის განთავსებაზე პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში.

მოსკოვი დიდი ხანია ეწინააღმდეგებოდა ამ გეგმას.

მას შემდეგ, რაც თავდაპირველად უარყვეს პოლონეთ-ჩეხეთის ვარიანტი, აშშ-ს თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა ივარაუდეს, რომ ანტისარაკეტო სისტემა შეიძლება განთავსდეს სადმე კავკასიის რეგიონში. როგორც ჩანს, კლინტონის განცხადება იმას ისახავდა მიზნად, რომ რუსები დაერწმუნებინა – შეერთებული შტატები არ დააფუძნებს სარაკეტო ფარს ქვეყანაში, რომელიც ამ ბოლო წლებში კრემლის მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცა.

რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს, მოსკოვი და ვაშინგტონი შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე საკვანძო საკითხთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდებიან. 14 ოქტომბერს „კომერსანტში“ გამოქვეყნებულ კომენტარში კლინტონმა განაცხადა, რომ მიუხედავად კრემლის პროტესტისა, შეერთებული შტატები განაგრძობს ქართული ჯარის წვრთნას, რათა „ქართველმა ხალხმა იგრძნოს, რომ მას თავის დაცვა შეუძლია“.

# აშშ ქართულ ჯარს მხარს დაუჭერს



**„შეერთებული შტატები, რუსეთის პროტესტის მიუხედავად, განაგრძობს ქართული ჯარის მხარდაჭერასა და წვრთნას“ – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ოთხშაბათის ინტერვიუში.**

„საქართველო ავღანეთს ჯარით უზრუნველყოფს და ჩვენ განვაგრძობთ ჯარის წვრთნას, რათა მას ავღანეთში წასვლა შეეძლოს“, – განუცხადა კლინტონმა რადიო „ეხო მოსკვის“.

„ჩვენ დავეხმარებით ქართველ ხალხს, რათა მან იგრძნოს, რომ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა“, – დამატებით აღნიშნა მან, შემდგომი დაზუსტებების გარეშე.

მიუხედავად რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების დათბობისა, კლინტონმა აღიარა, რომ საქართველო პოლიტიკის ის სივრცე იყო, რომელზეც მოსკოვი და ვაშინგტონი ვერ თანხმდებოდნენ.

მაგრამ კლინტონმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, სამშაბათის მოლაპარაკებების დროს შეერთებული შტატების მიერ საქართველოს არმიის მხარდაჭერის თაობაზე, არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს.

„მაგრამ ჩვენ ამავე დროს ძალიან ღიად განვაცხადეთ: ჩვენ ველით რომ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა თავი შეიკავონ პროვოკაციებისგან და ნებისმიერი პრობლემა დიპლომატიური შეხვედრების მეშვეობით გადაწყვიტონ“, – განუცხადა კლინტონმა რადიოს.

ცივი ომის ორ ყოფილ მეტოქეს შორის კავშირები ძალიან დაიძაბა აშშ-ის მოკავშირესთან, საქართველოსთან რუსეთის ომისა და შემდგომ მის მიერ საქართველოს მეამბოხე რეგიონების, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის – დამოუკიდებლობის ცნობის გამო.

გასული წლების განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა საქართველოს არმიის მხარდასაჭერად ათეულობით მილიონი დოლარი გამოყო. დახმარება მოიცავს მხარდაჭერასა და წვრთნას, მაგრამ ბოლომდე გარკვეული არ არის, რამდენად დაიხარჯა ეს თანხები შეიარაღებაზე.

# რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველოსთან შეთანხმებაში თურქეთი მოსკოვს უჭერს მხარს

**პოლიტიკა, რომელსაც თურქეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ახორციელებს, პრორუსულად განიხილება, ასე მიაჩნიათ რუს და თურქ მეცნიერებს, რომლებიც სამშაბათს სტამბოლში ვორქშოფში მონაწილეობდნენ.**

ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის ივლისსა და აგვისტოში მკვეთრად გაუარესდა და ორივე მხარე ახალი დაპირისპირებით იმუქრებოდა. მოსკოვმა სასწრაფოდ ისარგებლა თავისი გამარჯვებით საქართველოსთან აგვისტოს ომში, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და იქ ათასობით სამხედრო განათავსა.



იმის გამო, რომ სიტუაცია ჯერ კიდევ დაძაბულია, ექსპერტები ფიქრობენ, რომ დისკუსიები დიდ შედეგს ვერ მოიტანს.

თურქი დიპლომატის ვიზიტი აფხაზეთში იმას ნიშნავს, რომ თურქეთი მომავალში აღიარებს სეპარატისტულ რეგიონს, განაცხადა რუსმა მონაწილემ. თურქმა ჟურნალისტმა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს აღნიშნა, რომ საქართვლოსა და რუსეთს შორის ომის მსვლელობისას საზოგადოება მადლიერი იყო თურქეთის პოლიტიკის გამო. თურქმა მეცნიერმა, რომელიც იმავე ვორქშოფს ესწრებოდა, განაცხადა, რომ თურქეთი მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში არ აღიარებს აფხაზეთს.

ვორქშოფზე მხოლოდ ერთი საკითხი განიხილებოდა – კავკასიის სეპარატისტული რესპუბლიკების და მათთან ერთად მხოლოდ თურქეთის მიერ აღიარებული კვიპროსის სტატუსი. დისკუსიაზე პრესა შეზღუდულად დაუშვეს, მაგრამ დისკუსიის მონაწილეთა სახელები არ გამჟღავნდება.

კავკასიაში ორივე ქვეყნის პოლიტიკის განხილვისას, რუსმა მონაწილემ გაიხსენა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის უნალ ჩევიქოზის ვიზიტი აფხაზეთში. ჩევიქოზი აფხაზეთში საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრის დავითოღლუს ვიზიტის შემდეგ ჩავიდა.

„ჩევიქოზის ვიზიტი საერთაშორისო არენაზე ისე აღიქმებოდა, როგორც დამოუკიდებლობის აღიარება. თურქეთი დღეს არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ვიზიტი იმას ნიშნავს, რომ ის მას მომავალში აღიარებს“, – განაცხადა რუსმა მეცნიერმა.

„თურქეთი ცდილობს აფხაზეთს თავისკენ უბიძგოს. ამას ის სავაჭრო მიზნებით აკეთებს. ეს რუსეთს არ აღიაზიანებს. ჩვენ თურქეთის მოქნილობას ვხედავთ. რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, თურქეთი რეგიონში უფრო ფართო პოლიტიკას ატარებს“, – განაცხადა მან.




თურქი ჟურნალისტი, რომელიც მოსკოვში მუშაობს და რომელიც ვორქშოფის სხვა დისკუსიაში მონაწილეობდა, ამბობდა, რომ თურქეთის პოლიტიკამ საქართველო-რუსეთის ომის დროს პოზიტიურად შეცვალა რუსული საზოგადოების განწყობა თურქეთისადმი. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს საქართველოსთან კარგი დამოკიდებულება აქვს, ის ნატოს იმ სამ წევრთაგან ერთი იყო, რომელმაც ვეტო დაადო კონფლიქტის დროს სოლიდარობის ნიშნად ალიანსის AWACS-ის (საჰაერო კონტროლის სისტემაძ გაგზავნას კავკასიაში.

თურქმა მეცნიერმა, რომელიც კავკასიის პანელში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ თურქეთი არ აღიარებს აფხაზეთს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში და არასწორი იქნებოდა ჩევიქოზის ვიზიტის ინტერპრეტირება მოქმედების ცვლილების კონტექსტში, რადგან თურქი დიპლომატი იქ საქართველოსთან კონსულტაციების შემდეგ ჩავიდა.

დისკუსიის თურქმა მონაწილემ აღნიშნა, რომ აფხაზურ საზოგადოებას თურქეთში, რაც დაახლოებით 200000-250000 კაცს შეადგენს, მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი განზომილება შემოაქვს. „ფაქტია, რომ აფხაზურ საზოგადოებას უნდა, რომ აფხაზეთისთვის ღია არხი დატოვოს“, – განაცახადა მან.

მაგრამ როდესაც რუსმა მონაწილემ მას, აფხაზეთის დიასპორის წევრების სამშობლოში შესაძლო დაბრუნებაზე ჰკითხა, რაც დემოგრაფიულ სურათს სეპარატისტულ რეგიონში შეცვლიდა, მან უპასუხა, რომ თურქეთში მცხოვრებ ძალიან ცოტა აფხაზს სურს აფხაზეთში დაბრუნება.

Hürriyet

## დედამიწის ზურგზე



**თურქეთის პირველმა ლედიმ სომხეთის პრეზიდენტისთვის ვახშამი მოამზადა**

სასადილო ტრაპეზი გაიმართა სომხეთისა და თურქეთის ფეხბურთის ნაკრები გუნდების შეხვედრაზე ერთობლივი წასვლის შემდეგ. წინა დღით ერევანმა და ანკარამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

* * *

**ტაილანდში დააპატიმრეს ორი რუსეთელი საბანკო ბარათების თაღლითობის გამო**



პოლიციის მონაცემებით პატაიის გარეუბანში ერთ-ერთი ბანკის განყოფილებაში ორი ახალგაზრდა შეეცადა, მიეღოთ ნაღდი ფული. ბანკის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ბარათი ყალბი იყო. ტურისტები შეეცადნენ მიმალვას, მაგრამ პოლიციამ ისინი დააკავა ერთ-ერთ ავტოსადგომზე.

* * *

**აფეთქება და თავდასხმების სერია სპეციალური სამსახურებისა და პოლიციელების ობიექტებზე პაკისტანში: დაიღუპა 40 კაცი**



თვითმკვლელმა ააფეთქა ავტომობილი ქალაქ კოხატის პოლიციის განყოფილებაში, მოკლა 10 კაცი. ქალაქ ლახორში ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს პაკისტანის გამოკვლევათა ფედერალურ სამსახურს და თავს დაესხნენ პოლიციის მომზადების ორ ცენტრს.

* * *

**აფეთქება კიშინიოვის ცენტრში ქალაქის დღის დღესასწაულზე: დაიჭრა 36 კაცი**

ჯერჯერობით ორ ვერსიას განიხილავენ – საბრძოლო იარაღის ან ძლიერი პიროტექნიკური მოწყობილობის აფეთქება. ბოროტმოქმედმა ასაფეთქებელი მოწყობილობა მიუგდო ფეხებში მოსეირნეთა ჯგუფს. ყველაზე ახალი ვერსიაა – აფეთქდა საბრძოლო ხელყუმბარა. ის ხელში ჩაუვარდა ბოროტმოქმედს დნესტრისპირეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს.



ვითხოვ სიტყვას!

# „საქართველო იმიტომ ისჯება, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი კონფორმისტი და კოლაბორაციონისტია“

(მეექვსე გვერდიდან)

ასე ჯიბრზე, სიგოროტით დაბადებული არაფერი შეიძლება იყოს კარგი და ვერც ქალაქს ვატყობ დიდ ზეიმს! მაშინვე ვთქვი, რომ აუცილებლად ვეტყოდი ყველა პარტნიორს, როგორი ტიპის ფესტივალია ეს. სააკაშვილი რომ დარბოდა საზღვარგარეთ, ერის ღალატი არ იყო?! არ აგინებდნენ და ლანძღავდნენ შევარდნაძეს?! ახლა მეც ვლანძღავ არა ამ ქვეყანას, არამედ ერთ ადამიანს, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მისი გუნდიდან მოდის. სხვათა შორის, გამაოგნა ჩემი კოლეგების პირშეკრულობამ, რომლებიც ამბობენ, „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გააკეთებს ფესტივალსო?!„. ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზიც ის გახდა, რომ გავბედე ხმის ამოღება მათი გეგმების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, მერე უგულავას ფესტივალის ხელმძღვანელმა, მარჯანიშვილის თეატრის მმართველმა ეკა მაზმიშვილმა სამხატვრო ხელმძღვანელობა შემომთავაზა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შეშინდა. მაზმიშვილს ვუთხარი, „შენ უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, თურმე, რაღაც არარსებული ფესტივალის ხელმძღვანელი ხარ და ახლა მთავაზობ სამხატვრო ხელმძღვანელობას-მეთქი“?! შემომთავაზეს, მათ ფესტივალში ჩვენი უფასო ღონისძიებებიც ჩაგვესვა, მაგრამ როგორ შეიძლება, ასეთ მრავალმილიონიან ფესტივალში უფასო ღონისძიება ჩასვა? — არ მეტყოდა ის ხალხი, „დიდი ბოდიში, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს ჩვენ გვთხოვთ, უფასოდ ჩამოვიდეთ მაშინ, როდესაც ამ ხალხს ამხელა ფულს უხდითო?!“ ამ ფესტივალის საბჭოს თავმჯდომარე გიგი უგულავაა. როდესაც არსებობს 11 წლის გამოცდილების მქონე უნიკალური ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც ჰონორარს არავინ იღებს, ვიღაც კი თავის ძვირადღირებულ ფესტივალს აკეთებს და ქვეყანას ამას აკარგვინებს, კორუფციაში ჩაფლული ადამიანი ხარ! გამაგებინეთ, ვის ეკუთვნის საქართველოში ფული — ხალხს, კულტურის მინისტრს, თუ უგულავას, რომელიც რეკლამას იკეთებს?! როგორც კი ჭაბუა ამირეჯიბის ტერმინი „დაიცავით საქართველო“ გაჩნდა, მოფინეს ბილბორდები „მე მიყვარს საქართველო“, „მე მიყვარს რედისონი“, „მე მიყვარს სიღნაღი“ და ა. შ. რა, მანამდე არ უყვარდათ, თუ ახლა ფული გაუჩნდათ?! ის ფული გაუჩნდათ, რომელსაც უცხოელებს ვეხვეწებით? რა უფლება ჰქონდათ ჩემი გადაყენების?! მოიმიზეზეს, თითქოს აპრილში აქ ბილეთები არ იყიდებოდა და მე თეატრი დავკეტე. ამდენი სიცრუე შეიძლება?! ლევან ხეთაგურმა დაწერა წერილი, სადაც დასკვნის სახით ყველაფერი ეწერა და მე ეს ყველაფერი გავიზიარე. 1 ივნისს ჩვენ ეს წერილი კულტურის მინისტრს გავუგზავნეთ. თავიდან არც ლევანს უთხრეს არაფერი და როცა გაიგო და ხმა ამოიღო, მერე თქვეს, თურმე, საბჭოს ბორდში მეძახდნენ. ტყუილია, არანაირ ბორდში ისინი არ მეძახდნენ!

**— ყველაფერ ამის გათვალისწინებით, თუ ჩატარდება ფესტივალი „საჩუქარი“ და როდის?**

— აუცილებლად ჩატარდება. არ ვიტყვი, სად და ზუსტად როდის, მაგრამ აუცილებლად იქნება! ეს არის საერთაშორისო დირექტორატის გადაწყვეტილება. ეს იქნება ორი სპექტაკლი, ერთი თუ ათი — მაინც იქნება! ესენი თუმანიშვილის სახელს ვერ მოკლავენ და ვერ წაშლიან!

**— თქვენ აქტიურად იყავით ჩართული გაზაფხულის საპროტესტო აქციებში, გქონდათ ხმამაღალი და ემოციური გამოსვლები და ვიხილეთ ქეთი დოლიძე რუსთაველის გამზირზე ცოცხით ხელში. ეს ხომ არ გახდა „ბოლო წვეთი“, რომელმაც თქვენი თანამდებობიდან გათავისუფლება განაპირობა?**

— დარწმუნებული ვარ, ასეა. იმის მიუხედავად, რა უბედურება დაატრიალა ამ რეჟიმმა 2007 წლის ნოემბერში, ამ მოვლენებიდან ცოტა ხანში მივედით სააკაშვილთან და ვუთხარით, რასაც ვფიქრობდით. ვთქვით, რომ პოლიტიკურად არაფერი გამოსწორებულა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბებული იყო და არჩევნებზე ხალხი არ მისულა, რაც ყველამ კარგად იცის. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დამნიშნეს, არავისთვის მიმიცია პირობა, რომ თუ კი უზნეობების სერია გაგრძელდებოდა, ჩუმად ვიქნებოდი და ხმას არ ამოვიღებდი! განა მანამდე ან თუნდაც მას შემდეგ ნაკლები გამიკეთებია?! და ახლა ელიტარულმა ქალბატონმა ქეთუსია იგნატოვამ უნდა მასწავლოს მე ჭკუა?! — იგნატოვამ, რომელიც „კვირის ბოლოს“ ნაცვლად, „უიქენდს“ ამბობს?! საიდან მოხვდა იგივე ჩემი წერილები ქეთუსია იგნატოვას ხელში? ვინ არის საერთოდ ქეთუსია იგნატოვა, რა შეუქმნია, რითია სხვაზე მეტი? ელიტარული ქალბატონია? ესეც დაწერეთ აუცილებლად — ელიტარული ხომ უნდა იყოს თქვენი გამოცემაც! როგორც კი წავიდა ვაშაძე კულტურის სამინისტროდან, მაშინვე დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რა გადაწყვეტილება მიეღოთ ჩემთან მიმართებაში. თუ ვიქნებოდი ტოლერანტული, დამტოვებდნენ, თუ არადა — არა.

**— ქალატონო ქეთი, თქვენ ხართ საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წევრი. რატომ და როდის მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— ეს გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, აქციების დაშლის შემდეგ, მაშინ, როდესაც ყველამ თავისი გზა აირჩია. სხვათა შორის, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგალითად, ინგლისში არიან „კონსერვატორები“ და მათ შიგნით — ცალ-ცალკე ფრაქციები, რომლებიც დავობენ და კამათობენ, მაგრამ როდესაც რაღაც საერთო წყდება, ისინი ერთად არიან.

**— არის თუ არა მოსალოდნელი, ქეთი დოლიძე ახლო მომავალში რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ვიხილოთ? ხომ არ გეგმავთ პოლიტიკაში წასვლას?**

— არასოდეს! ქეთი დოლიძეს ვერასოდეს იხილავთ პოლიტიკაში, ვერც მინისტრად და ვერც რომელიმე პარტიაში! თუ ეს მოძრაობა ოდესმე პარტიად გადაიქცევა, მაშინვე წამოვალ. თუმცა ფაქტია, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და ამდენი უსამართლობა დიდხანს ვერ იზეიმებს. საქართველო კიდევ იმიტომ ისჯება, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი კონფორმისტი და კოლაბორაციონისტია, რომელიც ფიქრობს, რომ რაც ხდება, მას არ ეხება. მიკვირს იმ ხელოვანების, ჩემი კოლეგების, ვინც არაფერს ამბობს და ასე ვთქვათ, ამათ სამსახურშია. მე ვამბობ, რასაც ვფიქრობ და ეს არის ჩემი პრობლემა.

**მირანდა შურღაია**

ნათელმოსილი

***ძნელი იყო იმ გაუსაძლის დღეებში წერა უახლოეს მეგობარზე, ვისთან ერთადაც გაგვიტარებია ცხოვრების საუკეთესო წლები. ამიტომაც დაგვიანდა გახსენება სიკეთით სავსე ადამიანისა, რომელიც გამოაკლდა არა მხოლოდ თავის დიდებულ ოჯახს, არამედ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებასა და ვრცელ სამეგობრო წრეს.***

თინათინ ცქიტიშვილის არსებობა მთლიანად მაღალ სულიერებაში ყოფნაა. უმთავრესი ნიშანი მისი ფენომენის გამორჩეულობისა და პიროვნების ხიბლისა სწორედ ადამიანის სიყვარულია.

თინა ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა. მისი მშობლები კეთილშობილი, სტუმართმოყვარე, მშობლიური ქვეყნისა და ქართული მწერლობის მოსიყვარულე ადამიანები იყვნენ. ქალბატონი ელენე ცნობილი ენათმეცნიერის ივანე ქავთარაძის და გახლდათ.

თინა ცქიტიშვილმა საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა, წარჩინებით კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ნიჭიერმა სტუდენტმა იმთავითვე მიიქცია აკადემიკოსების — გიორგი წერეთლის, აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას — ყურადღება. 1957 წლიდან მუშაობას იწყებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში უფროს ლაბორანტად. 1961-1974 წლებში ეკავა მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ კი — უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.



## ძველ ქართულ წიგნებს იკვლევდა...

ერუდირებული და სიკეთით მოსილი ქალბატონი თავისებური ხიბლისა და სილამაზის შემტანი იყო ყველგან, სადაც მოღვაწეობდა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რუსთავის დამოუკიდებელ ინსტიტუტში.

თინა ცქიტიშვილი ავტორია ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, რომელთაგან ათიოდე ცალკე წიგნადაა გამოცემული. მისი ინტერესები მრავალმხრივი იყო: ეზეკიელის წიგნი, „ვეფხისტყაოსანი“, იოანე პეტრიწის თხზულებები და თარგმანები მარიამ ღვთისმშობლის შესახებ, თეოფილაქტე ბულგარელის განმარტება მათეს სახარებისთვის. ლექსიკოლოგია მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მხარე იყო. ის დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონზე.

თინას საკანდიდატო შრომა: „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“ ერთხმად აღიარეს როგორც სადოქტორო ნაშრომი. იგი ხელმძღვანელობდა სალექსიკონო ფონდის საფუძველზე მომზადებული მასალების ოცტომეულის გამოცემას, რომელსაც საშველი არ დაადგა.

დისერტაციის დაცვა ნამდვილი ზეიმი იყო. თინათინ ცქიტიშვილმა გასაოცარი ნათლით აავსო ყველანი და აღტაცებაში მოიყვანა რჩეულ მეცნიერთა კოჰორტა.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, დავიქსაქსეთ. ბედმა თუ შემთხვევამ მოგვიანებით მაინც შეგვახვედრა. დაარსდა სამეგობრო, რომელშიც გაერთიანებული იყო 25-მდე ადამიანი — ყველა სამოციანელი პოეტი და პროზაიკოსი.

ჩვენი რაზმის აქტიური წევრი იყო თინა. ძალიან გვიყვარდა 12 იანვარი — თინას სახელწოდების დღე. მისი მყუდრო ბინა იყო წმინდა სავანე, სულის მოსაოხებელი, თავის მოსადრეკი ნავსაყუდელი.

თინა ცქიტიშვილი მწვრთნელი იყო ახალგაზრდებისა, სტუდენტებისა, უებრო პედაგოგიური ალღოს მქონეს ზუსტად შეეძლო — ამოეცნო ახალგაზრდის ნიჭიერება. დიდია მისგან ხელდასხმულთა წრე. ზოგი ხელოვნებას ემსახურება, ზოგი მეცნიერებას. ბევრი დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო. ახალგაზრდებთან საოცარი მეგობრობა იცოდა, ზრუნავდა და უვლიდა.

თინათინს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. საწერ მაგიდაზე დარჩა გამოსაცემად გამზადებული სამი წიგნი, აგრეთვე სამი წერილი ჩვენს მეგობრებზე — რევაზ ინანიშვილზე, გივი გეგეჭკორსა და ივერ წულუკიძეზე.

თინას პროფესიონალიზმი და სულისკვეთება თვით უაღრესად ფეთქებად გარემოშიც კი მოულოდნელ სულიერ კომფორტს ქმნიდა, რადგან ამ საყოველთაო გაშიშვლების ეპოქაში გულისყური მარადიულ პრობლემებზე იყო ორიენტირებული.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობამ უდროოდ უმტყუნა და სარეცელს მიაჯაჭვა. თინას თავისი დისწულები და ძმისწულები საფიცარ ხატებად მიაჩნდა, ნეტავ შეძლებოდა ეხილა, როგორ განიცადეს მისი ავადმყოფობა. რა არ იღონეს მის გადასარჩენად, მაგრამ ბედისწერა გარდაუვალი იყო.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თინამ დაიბარა ცნობილი ენათმეცნიერი ნარგიზ გოგუაძე, სთხოვა, მისი სადოქტორო დისერტაციისთვის მოევლო და წიგნად გამოეცა. კვდებოდა დიდი ტკივილით, მაგრამ რწმენით, რომ მან თავისი ვალი აღასრულა.

ჩვენი თაობის ფოთოლცვენაში თინათინ ცქიტიშვილის დანაკლისი აუნაზღაურებელია ყველა იმათთვის, ვინც დაუნდობელი ურთიერთობების დროში მისი სახით წმინდა ადამიანობა იწამა, მისი თბილი გული მოგონებებშიც გაგვათბობს.

**ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი**

ხსოვნა

***1953 წელს რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა ნაკადი გამოუშვა, იმ თაობიდან ხუთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა — ორი თეორეტიკოსი და სამი ექსპერიმენტატორი! ექსპერიმენტატორთა შორის გახლდათ რევაზ სალუქვაძე — ბირთვული ფიზიკის გამოჩენილი სპეციალისტი, მეცნიერული მუშაობის ჩინებული ორგანიზატორი, საუცხოო პედაგოგი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე (ეგებ ერთადერთი ქართველი, ვინც იყო აფხაზეთის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი), შესანიშნავი მოქალაქე, მეოჯახე, მეგობარი და ამხანაგი, გამორჩეული პიროვნული თვისებებისა და იერის მქონე კაცი; ვაგლახ, რომ ცხოვრებიდან ნაადრევად წასული.***

## ბილწს არ ეკვროდა ზავითა...

ეს ის აკადემიკოსი რევაზ სალუქვაძეცაა, ვინც აკადემიკოსებთან ალეკო თავხელიძესა და ნოდარ ამაღლობელთან ერთად ამოდენა ღვაწლი დასდო საქართველოში მაღალი ენერგიების ფიზიკის (მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის ყურადღების ცენტრში მდგარი დარგის!ძ ამაღლებას თანამედროვე დონემდე...

ბატონი რევაზის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართული, აკადემიის, ილია ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის (რევაზ სალუქვაძე 26 წლის სიგრძეზე ხელმძღვანელობდა ამ საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე კვლევით დაწესებულებას!ძ, თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მიერ ორგანიზებული.

შეკრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. იუბილარის ცხოვრება და მოღვაწეობა გააშუქეს (პირდაპირი მნიშვნელობითაც, ეკრანზე!ძ პროფესორებმა გურამ ბოკუჩავამ და ჯემალ ხუბუამ. იყო სხვა გამოსვლებიც, რევაზ სალუქვაძის დაუვიწყარი სახელისადმი იშვიათი სითბოთი, გულითადობითა თუ პატივისცემით აღბეჭდილი. დამსწრენი დასაჩუქრდნენ საიუბილეოდ გამოსული წიგნით „რევაზ სალუქვაძე 80“, რომელიც გურამ ბოკუჩავას, ზაზა სალუქვაძეს (განსვენებულის ვაჟი, აფხაზეთის ომის გმირი, გმირულადვე დაღუპული ახალგაზრდების არჩილ ამაღლობელისა და მალხაზ დოლიძის მეგობარი, სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი!ძ და რაფიელ ჩიქოვანს ეგზომ რუდუნებით შეუდგენიათ.

გთავაზობთ ამაღელვებელ ამონარიდს ნაშრომში შესული რევაზ სალუქვაძის ავტობიოგრაფიიდან „ჩემი ცხოვრების კრედო“:



„ბილწს არ შავეკვრი (არც შევკვრივარ!ძ ზავითა“ — ვაჟასია, მაგრამ ამის აღიარება საკუთარ კრედოდ, მგონი, აკრძალული არ არის“ — ასე ამთავრებს გულით სათქმელს ძვირფასი რეზო...

...რა კარგია, რომ ჩვენს უმძიმეს დროში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ასე სათუთად ეკიდება თავისი სახელოვანი წევრების ხსოვნას და ღირსეულ პატივსაც მიაგებს...

**თამაზ ებანოიძე**

ფეხბურთი

# ვინ გვარცხვენს



**„მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი ტურნირი ექტორ რაულ კუპერის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ისევე სამარცხვინოდ დაასრულა, როგორც წარმართა მთელი საკვალიფიკაციო ციკლი, მაგრამ სოფიაში ბულგარელთაგან ნაგემი ალიყური – 2:6 მაინც მეტისმეტია.**

ზოგი ასეთ კონფუზს გადატვირთულ კალენდარს მიაწერს – ჩერნოგორიაში გადატანილი ბრძოლიდან (ის ხომ მოვიგეთ, აი!ძ გასულ ოთხ დღეში ბიჭებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრესო. არიან ისეთნიც, ვინც ყველაფრის მიზეზად მოტივაციის უქონლობას მიიჩნევს – ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში ჯგუფში უკანასკნელ ადგილს მაინც ვერ ავცდებოდითო. ქომაგთა ნაწილი აქცენტს სფფ ახალი ხელმძღვანელობის ეროვნული გუნდისადმი აგდებულ დამოკიდებულებაზე აკეთებს – აქაოდა, ფედერაციის პრეზიდენტი რატომ არ გაჰყვა „ჯვაროსნებს“ ბალკანურ ტურნეშიო.

კიდევ ბევრი მეტ-ნაკლებად გასათვალისწინებელი არგუმენტის მოსმენა მოგვიწევს ამ დღეებში, მაგრამ ქართული ფეხბურთის ღრმა კრიზისის ფესვები, დაგვეთანხმებით, ცოტა უფრო ზემოთაა საძებნი. კერძოდ, იმ ქვეყანაში, რომელსაც „ნაც-შპანა“ მართავს (ვაი ასეთ მართვასძ და სადაც იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველა სფერო „ჩამოშლილია“, გასაკვირიც კი იქნებოდა თანამემამულეთა უკეთესი მონაგარი.



ალარაფერს ვამბობთ ცალკეულ მოთამაშეთა საგმირო საქმეებზე, რომლებიც, რომ არ ვიცოდეთ, ბედკრული საქართველოს შვილები რომ არიან, ისე ეხმარებიან მეტოქეებს, მოწინააღმდეგენი გვეგონება. ამჯერად საილუსტრაციოდ მეკარე ლომაიას დავასახელებთ, რომელმაც მასპინძლებს ორი გოლი, რომ იტყვიან, ხონჩით მიართვა.

მოკლედ, მორიგი შესარჩევი ბატალიები და კუპერის ეპოქა სავალალოდ დასრულდა. ვინატროთ, მის შემცვლელს უკეთესი ხვედრი ერგოს.

**გია პლატონიშვილი**

**გაუწყებთ ოთხშაბათის რაუნდის შედეგებს:**

**ევროპა**

**I ჯგუფი.** პორტუგალია – მალტა 4:0, დანია – უნგრეთი 0:1, შვედეთი – ალბანეთი 4:1.

დანია – 21, პორტუგალია – 19, შვედეთი – 18, უნგრეთი – 16, ალბანეთი – 7, მალტა – 1 ქულა.

**II ჯგუფი.** საბერძნეთი – ლუქსემბურგი 2:1, შვეიცარია – ისრაელი 0:0, ლატვია – მოლდოვა 3:2.

შვეიცარია – 21, საბერძნეთი – 20, მალტა – 17, ისრაელი – 16, ლუქსემბურგი – 5, მოლდოვა – 3 ქულა.

**III ჯგუფი.** პოლონეთი – სლოვაკეთი 0:1, ჩეხეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 0:0, სან-მარინო – სლოვენია 0:3.

სლოვაკეთი – 22, სლოვენია – 20, ჩეხეთი – 16, ჩრდილოეთ ირლანდია – 15, პოლონეთი – 11, სან-მარინო – 0 ქულა.

**IV ჯგუფი.** გერმანია – ფინეთი 1:1, ლიხტენშტეინი – უელსი 0:2, აზერბაიჯანი – რუსეთი 1:1.

გერმანია – 26, რუსეთი – 22, ფინეთი – 18, უელსი – 12, აზერბაიჯანი – 5, ლიხტენშტეინი – 2 ქულა.

**V ჯგუფი.** თურქეთი – სომხეთი 2:0, ბოსნია – ესპანეთი 2:5, ესტონეთი – ბელგია 2:0.

ესპანეთი – 30, ბოსნია – 19, თურქეთი – 15, ბელგია – 10, ესტონეთი – 8, სომხეთი – 4 ქულა.

**VI ჯგუფი.** ყაზახეთი – ხორვატეთი 1:2, ინგლისი – ბელარუსი 3:0, ანდორა – უკრაინა 0:6.

ინგლისი – 27, უკრაინა – 21, ხორვატეთი – 20, ბელარუსი – 13, ყაზახეთი – 6, ანდორა – 0 ქულა.

**VII ჯგუფი.** საფრანგეთი – ავსტრია 3:1, ლიტვა – სერბეთი 2:1, რუმინეთი – ფარერები 3:1.

სერბეთი – 22, საფრანგეთი – 21, ავსტრია – 14, ლიტვა, რუმინეთი – 12-12, ფარერები – 4 ქულა.

**VIII ჯგუფი.** ბულგარეთი – საქართველო 6:2, ირლანდია – ჩერნოგორია 0:0, იტალია – კვიპროსი 3:2.

იტალია – 24, ირლანდია – 18, ბულგარეთი – 14, კვიპროსი, ჩერნოგორია – 9-9, საქართველო – 3 ქულა.

ამრიგად, გაისად სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ დანია, შვეიცარია, სლოვაკეთი, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, სერბეთი, იტალია და ჰოლანდია. 19 ოქტომბერს გაიმართება მეორეადგილოსანთა პლეი-ოფის კენჭისყრა, სადაც გუნდები სარეიტინგო ქულების მიხედვით განთესეს. აღნიშნული შკალის მიხედვით ერთმანეთს არ შეხვდებიან რუსეთი, საფრანგეთი, პორტუგალია და საბერძნეთი, აგრეთვე უკრაინა, ირლანდია, სლოვენია და ბოსნია.

**სამხრეთ ამერიკა**

ურუგვაი – არგენტინა 0:1, პერუ – ბოლივია 1:0, ბრაზილია – ვენესუელა 0:0, პარაგვაი – კოლუმბია 0:2, ჩილე – ეკვადორი 1:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** ბრაზილია – 34, ჩილე, პარაგვაი – 33-33, არგენტინა – 28, ურუგვაი – 24, ეკვადორი, კოლუმბია – 23-23, ვენესუელა – 22, ბოლივია – 15, პერუ – 13 ქულა.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ითამაშებენ ბრაზილია, ჩილე, პარაგვაი და არგენტინა, ხოლო ურუგვაი ამავე უფლების მოსაპოვებლად კონკაკაფის ზონის მეოთხეადგილოსანს კოსტა-რიკას შეხვდება. ამ ზონიდან აფრიკული ფორუმის საგზური აშშ-ს, მექსიკას და ჰონდურასს ხვდათ.

ჭიდაობა

# როცა ლიდერები ისვენებენ

**დაღესტნურ ხასავიურტში კვირას თავისუფალი სტილით მოჭიდავეები „საერთაშორისო თასს“ გაითამაშებენ.** შეჯიბრება გუნდურია და მასში დაღესტნის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და საქართველოს წარმომადგენლები იასპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55ძ, მალხაზ ქურდიანი (60ძ, შალვა მუზიაშვილი (66ძ, კობა კაკალაძე (74ძ, ბექა ჭელიძე (84ძ, ბელდუხ გავაშელი (96ძ და გიორგი საკანდელიძე (120ძ. ეროვნული გუნდის ლიდერები ისვენებენ, ამიტომ მწვრთნელებმა ნაკრები უმთავრესად ახალგაზრდებით დააკომპლექტეს.



ხელბურთი

# „ბენფიკა“ გამოგვცდის

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელი გამარჯვებული „თბილისი“ ლისაბონს გაემგზავრა, სადაც ხვალ და ზეგ ადგილობრივ „ბენფიკას“ შეხვდება ევროპის ფედერაციის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩებში.** პირველ ეტაპზე „თბილისმა“ კვიპროსის „პაფოსი“ დაამარცხა. მამუკა მჟავანაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ჩემპიონები ასეთი შემადგენლობით გამოვლენ პორტუგალიურ სარბიელზე: კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი, ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, გიორგი წიწივაძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე, ომარ ქუთათელაძე, ოთარ ამირანაშვილი, გიორგი იობაშვილი, აკაკი ყაველაშვილი, გიორგი სამარღანაშვილი, ირაკლი თევზაძე, შალვა თოდაძე.



ინტერნეტიდან

## კორუფციასთან საბრძოლველად

**რამდენჯერმე გაგვიგონია, როცა უძლიერესი გუნდი მარცხდება შედარებით სუსტ გუნდთან, ეს ბუკმეიკერების ჩაწყობილიაო. მათ დიდი ფული დაითრიესო. ნოემბერში უეფა გაასაჯაროებს გამოძიების შედეგებს ბუკმეიკერული სამყაროს ბოროტმოქმედებათა სერიოზული ზემოქმედებისა ფეხბურთის მატჩების შედეგებზე.**

უეფას ხელთაა მოლაპარაკებათა ხასიათის 40 შეხვედრის მასალები. მათ შორის ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასისა და ევროპის ლიგის მატჩებისა.

ეჭვქვეშ აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების მეოთხედფინალური მატჩიც კი, „ლივერპულსა“ და „ჩელსს“ შორის. მართალია, ამ მატჩზე სპორტული პრინციპების დარღვევის პირდაპირი მტკიცებანი გამომძიებლებს არ გააჩნიათ, მაგრამ მას ჩრდილი მიაყენა იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთ ჩინურ საბუკმეიკერო კანტორაში ამ შეხვედრაზე ძალზე დიდ თანხებს ჩადიოდნენ. „მე ჩვენი კავშირის ყურამდე მივიტანე, რომ მექრთამეობა სერიოზული საფრთხეა ევროპული ფეხბურთისთვის, – თქვა უეფას ანტიკორუფციული განყოფილების წარმომადგენელმა კარლ დონტმა, – ჩვენ გვაქვს ყველანაირი მტკიცებანი, ეს იქნება ყველაზე დიდი მხილება ისტორიაში“. გამოძიების დროს უეფას წარმომადგენლები გაფრინდნენ ჩინეთში, რათა გასცნობოდნენ იქაური ბუკმეიკერების საქმიანობას, დონტის თქმით, „ჩელსი“ – „ლივერპულის“ მატჩზე აღრიცხული იყო 30 მილიონი გირვანქის ფსონი.

## მე თვითონ ვიტყვიო




**მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAEძ პრეზიდენტი ლამინ დიაკი გეგმავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩასვლას, რათა პირადად მოელაპარაკოს იქაურ მორბენალს კასტერ სემენეის გენდერული ტესტის შედეგების შესახებ. ამასთან ერთად, დიაკის ვიზიტს სამხრეთ აფრიკაში ექნება დიპლომატიური ხასიათიც.**

ფედერაციის თავკაცი იმედოვნებს სამხრეთ აფრიკელ ხელმძღვანელებთან დამოკიდებულების გამოსწორებას, რადგან ისინი „სემინის საქმის“ გამო მკაცრი კრიტიკით ეხმიანებიან თავის ფედერაციის ხელმძღვანელობას, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცი ლეონიდ ჩვენე აცხადებს, რომ ასეთი დამოკიდებულება რასიზმის პირდაპირი გამოვლინებაა.

დიაკის ვიზიტის ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი, თუმცა ფედერაციამ მრავალგზის განაცხადა, რომ გამოაქვეყნებს 800 მეტრზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონის ტესტირების შედეგებს ფედერაციის საბჭოს სხდომის შემდეგ, ის კი ნოემბერში უნდა გაიმართოს. იქამდე კი ფედერაციის საექიმო კომისიამ დაიწყო გენდერული ტესტირების წესების შემუშავება, რათა მომავალში ასეთმა პროცედურებმა აღარ გამოიწვიოს მკაცრი განსჯა წინასწარ შექმნილ აზრებზე.

## რიო ფერდინანდის ახალი მუზა

**აბა, რა იცოდა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების მცველმა რიო ფერდინანდმა, ახალი კრიალა ყდიანი ჟურნალის გამოცემა რომ დაიწყო არა ტრივალური სახელწოდებით „№5“ (თავისი სათამაშო ნომრითძ, თუ რა ხლაფორთში გაიხლართებოდა.**

მაშინ, რათა საზოგადოების ყურადღება მიეზიდა, რიომ ჟურნალის ყდაზე დაბეჭდა ფრანგი მოდელის ფრანსუაზა ბუკფალის ფოტო. წარმატება, რასაკვირველია, გარანტირებული იყო. თუმცა ფეხბურთელს ახალი პრობლემა გაუჩნდა – რათა მკითხველთა ინტერესი შეენარჩუნებინა, ყოველი ნომრისთვის აუცილებლად ახალი ფოტომოდელი უნდა გამოეძებნა, თანაც წინაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო.



თუმცა, როგორც ჩანს, ფეხბურთელი ქალების კარგი მცნობელია. მისი გემოვნებისა ბევრს შეშურდება. ისე რომ, ბოლო ნომრის ყდა დაამშვენა ვიქტორია მუსის – „აპრილის მისის“ ფოტომ. ქალიშვილი ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე მოასწრო ბევრი პოპულარული გამოცემის ფოტოსესიაში მონაწილეობა.

## განცხადება

**ქ. თბილისის 152-ე საჯარო სკოლის დირექცია და სკოლის სატენდერო კომისია აცხადებს კონკურსს სკოლის ბუფეტისთვის 68,2 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.**

საიჯარო გადასახადის მინიმალური საწყისი თანხა – 195 ლარი თვეში (კომუნალური გადასახადების გარეშეძ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადაში შემდეგ მისამართზე: **თბილისი, მე-3 მასივი, ზემო პლატო, 152-ე საჯარო სკოლა.**

**დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე: 76-31-44; 76-19-32.**

◉ იცოცხლე, კოლეგა!

# გამარჯვებაში დაგილოცავ გამარჯვებას!

## ღია ბარათი ჩვენს ძმას და კოლეგას ბონდო გულიაშვილს!



ხედავ, როგორ გაფრენილა წლები, ჩვენო ბონდო? 70 წლისა გახდაო, რედაქციის ბიჭებმა, იმ რედაქციისა, სადაც შენ, შენი მადლიანი კალმით (კაცობას ვფიცავ!) მრავალი წელი ემსახურე ქართულ ჟურნალისტიკას. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იყო შენი ტრიბუნა, საიდანაც მართალი სიტყვით, პრინციპულობით მთელ საქართველოს აგონებდი, რომ არ შეიძლება ძველებურად ცხოვრება, რომ საქართველო გადასარჩენია და ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ!

თუმცაღა, ეს ყოველივე, აგერ, ახლახან იყო, ჩვენო ბონდო, მანამდე კი, არ დაგვიწყებია, სტუდენტობა რომ ერთად გამოვიარეთ, შენი ნიჭითა და უნარით რომ შეები სხვადასხვა რედაქციაში ჟურნალისტურ გაწამაწიას და შენი კვალი დააჩნიე ქართულ ჟურნალისტიკას.

ამასობაში კი დრო გავიდა, თითქოს ფასი დაკარგა ყველაფერმა, მაგრამ ის შენი მახვილგონივრული იუმორი, ის გაბედული სტატიები სამართლებრივ საკითხებზე და შენი პუბლიცისტიკა, უფროსი თაობის მკითხველს ახსოვს, ხოლო ახალთაობის ჟურნალისტებისთვის, დიახაც, რომ სამაგალითოა.

რას შვრები, ბიჭო ახლა, რას აკეთებ, – იქნებ, არქივს ჩაჰკირკიტებ?.. იქნებ, ერთ კარგ წიგნს უმზადებ ქართველ მკითხველს?.. სამტრედიის ქუჩაზე რომ ვერ გაჩერდებოდი და, სოფელ გამარჯვებაში სახლ-კარსა და შესანიშნავ მეურნეობას დასტრიალებ, უდავოა.

ჰოდა, თბილისიდან ვლოცავთ შენს კაცობას, შენს ძირსა და ფესვს – კარდენახს, შენს ნიჭს, შენს ოჯახსა და კალამს, მაგრად იყავ, გამარჯვებაში შეხვედრამდე!

„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელთა სახელით
**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ინფორმაცია

## დივერსიული აქტი ხაშურში

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ხაშურის რაიონში მომხდარ დივერსიულ აქტთან ურთიერთობას კატეგორიულად გამორიცხავს.**

ამის შესახებ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო კომიტეტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

— საქართველოში ე.წ. ტერაქტები, როგორც ყოველთვის, საერთაშორისო დონის მოვლენებს წინ უძღვის. ამასთან, საქართველოში მშვიდი ვითარება ისევ არ არის, რაც ნათლად ჩანს მთელი რიგი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მიერ ტალიავინის კომისიის დასკვნის შეფასებისას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამხრეთ ოსეთს თავს სააკაშვილი დაესხა, — აცხადებენ დე ფაქტო უშიშროების კომიტეტში.

მათივე მტკიცებით, დივერსია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის შიდა პოლიტიკური სიტუაციის გადაფარვას ემსახურებოდა.

— მსგავსი პროვოკაციები საქართველოს უშიშროების მუშაობის ჩვეულებრივი მეთოდია, რომლის მთავარი ორგანიზატორი საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილია, — აცხადებენ სეპარატისტები და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებენ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ქვეყნის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ყურადღება მიაქციონ.

ჯი-ეიჩ-ენი

სულთათანა

## ბერდია ნანობაშვილი



ჩვენო ბერდი, მეტად ძნელია შენი წარსულში მოხსენიება. ორმოცი დღეა, რაც ეს სამზეო დატოვე და შენმა სპეტაკმა სულმა ზეციურ საქართველოში დაივანა. ჩვენს გულებსა და ხსოვნაში მარად იცოცხლებ როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, სიკეთითა და სიყვარულით გასხივოსნებული, უღალატო, სიტყვამადლიანი, კაცურ-კაცობის ეტალონი.

გულწრფელობითა და თავმდაბლობით გამორჩეულს, მრავალმხრივი ნიჭით მადლმოსილს, ადამიანებთან ურთიერთობის ღვთითბოძებული უნარი გქონდა. 9 ოქტომბერს 75 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ დასანანია, რომ ამ თარიღს შენს საფლავზე შევხვდით.

ჩვენო ბერდი, პროფესიით ფილოლოგი, წლების განმავლობაში მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს მსახურებდი, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდი. ლამის ხუთი ათეული წელია ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება შენი ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ზღაპრები, იგავ-არაკები და ანდაზები, დასტამბე ორი რომანი და პიესები. წახვედი და შენთან დაკავშირებულ ძვირფას მოგონებებთან ერთად დაგვრჩა შენი 11 წიგნი. კვლავაც მრავალჯერ შეგვახსენებს შენს თავს შენს ლექსებზე აჟღერებული ცნობილი კომპოზიტორების 30-მდე სიმღერა.

დაფასება და გარშემომყოფთა პატივისცემა თავისით არ მოდის, ეს მხოლოდ წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი და კეთილსინდისიერი შრომით მოიპოვება. ამის დასტურია შენი მრავალმხრივი შემოქმედება, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობა, დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ჩვენო ბერდი, ძალიან დაგვაკლდება შენი პიროვნული ხიბლი და გონიერი სიტყვა. შენი ამ ქვეყნიდან წასვლით მარტო ოჯახსა და სანათესაოს, სამეგობროს როდი დააკლდი, შენისთანები ქვეყანასაც აკლდებიან.

მეგობრების სახელით
მერი ჯავაშვილი, იაშა ბედოშვილი, ელენე ჭოველიძე, ტარიელ სართანია, ლულუ თვალიაშვილი, ბელა დურგლიშვილი, ანზორ ლომთაძე.

ბალნეოლოგიური კურორტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მაყვალა შელიას

დედის

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, ირინა, ლაშა, თეონა, გაგა გომართელები სამძიმარს უცხადებენ სოზარ შელიას დედის

მარგო ჩეჩელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ნინო, დები ნაზი, ზოია, ლუიზა, ნათელა, ძმები ოთარი, ჯამბული, სიძეები დემურ სირბილაძე, ოლეგ ზაქარეიშვილი, რძლები ირა ჭკადუა, მარინა ქარდავა, ელენე კარაკალოვა, დისწულები ლელა, გელა თოლორაიები, ფიქრია ქარდავა, მარინა, ივაკი ზაქარეიშვილები, ძმისწულები მაკა, ეკა, ფატი, სალომე, სესილი, ნინო, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუმბერ ქობალია

პანაშვიდი 18, 19 X, 17 სთ. გამოსვენება 20 X, 16 სთ. ქ. ზუგდიდი, არჩილ ფირცხელავას ქ. №5 (ფუნიკულიორის მიმდებარე ტერიტორია).

◉ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

# ხელიც დამიბანია...

**უცნაური ხალხია ამერიკელები, რას არ მოიგონებენ – ეს სურსათის დღეო (სხვათა შორის, დღეს აღნიშნავენ), ეს განქორწინებულთა და დაქვრივებულთა დღეო და ათასი ამგვარი სისულელეები. ცხოვრება თავიანთი, ცოტა არ იყოს, საეჭვო დემოკრატიის წყალობით მოყირჭებული აქვთ და იგონებენ და აღნიშნავენ კიდეც. აბა, ჩვენ კი არა გვგვანან ქართველებს, დედის დღეს, მიცვალებულთა დღესა და ქრისტიანულ დღესასწაულებს რომ აღვნიშნავთ.**



დილით რედაქციაში მისულს (უფრო სწორად ერთ-ერთი კეთილი ძიას მიერ ჩვენთვის მოქირავებულ სახლში... რაც გამომცემლობიდან გამოგვყარეს, მას შემდეგ რომ შევაფარეთ თავი) საპირფარეშოსთან რიგი დამხვდა.

— რა ყაბზობა შეგეყარათ, რა უბედურებაა-მეთქი.

— შენ ისევ ნაბახუსევი ხარ და, ალბათ, არც რადიოსთვის მოგისმენია და არც ტელევიზორისთვის გიყურებიაო, — მითხრეს და „დამაკვალიანეს“ — დღეს ხელის დაბანის დღეა და ყოველ ხუთ წუთში ხელს ვიბანთო.

ეს რაღა ჯანდაბა და დოზანაა „ხელის დაბანის დღე“. ერთი პილატემ დაიბანა ხელი თავისი სატანური გადაწყვეტილების შემდეგ და მას მერე შემოვიდა ფრთიანი ფრაზა — „ხელიც დამიბანია“, მაგრამ ამის დღესასწაულად გადაქცევა და საერთაშორისო დღედ გადაქცევა თუ მოუვიდოდა თავში ვინმეს, არც მეგონა.

ისე, სხვათა შორის, ზრდილობის გულისთვის მეც ჩავდექი რიგში, ხელები კი მქონდა დაბანილი, მაგრამ მსოფლიო დღეს მეც არ გამოვრჩე-მეთქი, ვიფიქრე, თორემ ამერიკელების გაზრახებაღა გვინდა ახლა, ამ არეულ დროში?

ისე ყველაფერს რომ ამერიკელები ჩემულობენ და პირველობის დათმობა არ უნდათ, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ „ხელის დაბანის დღე“ ჩვენი, ქართველების მოგონილი, უფრო სწორად ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების მოგონილია — ისინი პილატე პონტოელის არ იყოს, უკვე ყოველი წელიწადია, რაც ყოველდღე „იბანენ ხელს“ თავიანთ არცთუ ხალხისთვის გულის გასახარი საქმეების გამო...

მოკლედ, ვერ ვეღირსე ხელის გადაბანვას — აქ გოგონებიო, უფროსებიო, ასაკით უფროსებიო. ქუჩაში გავარდი, იქნებ მიშას რომელიმე შადრევანზე დავიბანო ხელი-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყველაფერში უცხოურზე წამხედვარე ქართველებს რიგი უკვე დაკავებული ჰქონდათ.

მოკლედ, ეს დიდი, საერთაშორისო, მსოფლიო დღესასწაული ჩავაგდე.

ისე ამერიკის პრეზიდენტს, აწ უკვე ნობელიანტს, ერთი რჩევა უნდა მივცე: „ხელის საპნით დაბანის ან თავზე შამპუნის გადავლების დღეების“ დაწესებას ლუდით ან არყით ყელის ჩასველების დღეც დააწესოს. მაშინ ხომ ნაღდად ავშენდებით.

ხელდაუბანელთა სახელით
**მამუკა ვაშაკიძე**

**P. S. ისე, ჩემო ძვირფასო ამერიკელებო, თქვენი ზესახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე და სანამ ხელების ბანაობას ისწავლიდით, 16 საუკუნით ადრე გოგირდის აბანოები გვქონდა და არამარტო ხელებს, ტანსაც კი ვიბანდით.**

მ. ვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

**2009 წლის 24 ოქტომბერს 10 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „არტის“ (მის: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კილომეტრი) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ნივთები:

- 641 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებთან (303 კვ.მ.) ერთად, მდებარე მისამართზე: თბილისი, გასასვლელი კრწანისის 1, №4, საწყისი ფასი: 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.
- 4 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე აღმართული შენობა-ნაგებობებთან (სასარგებლო ფართი: 845,3 კვ.მ. საერთო ფართი: 1 360,9 კვ.მ. გაშენების ფართი: 506 კვ.მ, შენობის მოცულობა 6 484,3 კვ.მ. სამეურნეო ფართი: 1 648,6 კვ.მ. დამხმარე ფართი: 515,6 კვ.მ.) ერთად, მდებარე მისამართზე: თბილისი, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ. საწყისი ფასი: 3 600 000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7.**

## დღის კალენდარი

16 ოქტომბერი

### მე-19 შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

ხსენება მღვდელმოწამეებისა: დიონისე არეოპაგელისა – ათენის პირველი ეპისკოპოსისა, რუსტიკე ხუცისა და ელეფთერ დიაკონისა (96 წ.); ღირსი იოანე ქოზიბელისა – პალესტინის კესარიის ეპისკოპოსისა (VI წ.; ნეტარი ისიხი ქორებელისა (VI წ.

### დაიბადნენ:

**1854 – ოსკარ უაილდი,** ინგლისელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი, გარდაიცვალა 1900 წელს.

**1896 – თამარ ჭავჭავაძე,** გამოჩენილი მსახიობი, გარდაიცვალა 1968 წელს.

**1927 – გიუნტერ გრასი,** გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1793 – მარია ანტუანეტა,** საფრანგეთის დედოფალი, დაიბადა 1755 წელს.

**1959 – ჯორჯ მარშალი,** ამერიკელი გენერალი, 1947 წელს წამოაყენა ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკის აღდგენის პროგრამა – „მარშალის გეგმა“, რისთვისაც 1953 წელს მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

**1976 – ალიო მირცხულავა,** პოეტი, დაიბადა 1903 წელს.

### მოვლენები:

**1813 წელი** – დაიწყო „ხალხთა ომად“ წოდებული ლაიფციგის ბრძოლა.

**1916 წელი** – ნიუ-იორკში მარგარეტ სენგერმა პირველი სამშობიარო სახლი გახსნა.

**1923 წელი** – ძმებმა უოლტ და როი დისნეებმა მულტიპლიკაციური ფილმის საწარმოებლად პირველ კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

**1964 წელი** – ჩინეთმა ბირთვული იარაღი გამოსცადა.

**1978 წელი** – კრაკოვის არქიეპისკოპოსი კაროლ ვოიტილა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აირჩიეს იოანე პავლე მეორის სახელწოდებით. 1542 წლიდან პირველად რომის პაპად არაიტალიელი აირჩიეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**სურსათის საერთაშორისო დღე.**

მედიანიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ფოტოფაქტი



სიმღერა „We ALL Live In A Uellow Sudmarine“ ჩინელმა ტაო სიანლიმ თავის პირად ჰიმნად აქცია. თავისი ცხოვრების ორი წელი მან მიუძღვნა საკუთარი წყალქვეშა ნავის შექმნას, რის ტესტირებასაც ამჟამად ახდენს ტბაზე პეკინის გარეუბანში. წყალქვეშა ნავი მუშაობს, მასში არის პერისკოპი, ელექტრომოტორები, სიღრმის რეგულატორები. ბევრი დეტალი ძველმანებისგან აიწყო, რომლებიც მან ბაზარზე შეიძინა.

## ინფორმაცია

### როგორ აღადგენენ ბაგრატის ტაძარს

**„იუნესკო“ ბაგრატის ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მონიტორინგს იწყებს.**

**რამდენად შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს ქართული ისტორიული ძეგლის აღდგენის მცდელობა, ამას ექსპერტები გაარკვევენ.**

**ქუთაისში ექსპერტებთან ერთად საპატრიარქოს და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებსაც ელოდებიან.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოები ბაგრატის ტაძარში ერთი თვის წინ შეჩერდა. მიზეზი ექსპერტთა ნაწილის პოზიცია გახდა. მათ ტაძარში რკინა-ბეტონის გამოყენება გააპროტესტეს და სამუშაოების შეჩერება მოითხოვეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ამბები, ჭორები

### იუშჩენკოს დიოქსინი – სიყალბეა?

**ამბობენ, რომ უკრაინაში ძალიან „გამოცოცხლდა“ სკანდალი პრეზიდენტ იუშჩენკოს შესაძლო მოწამვლის შესახებ პრეზიდენტის წინა არჩევნების დროს. ერთ-ერთმა გაზეთმა, გენერალური პროკურატურის თანამშრომელზე მითითებით, გვაცნობა: ვ. იუშჩენკოს სისხლის ნიმუშები ჯერ უცხოეთში გადაიტანეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი გაამდიდრეს დიოქსინით და უკვე იქიდან მოხვდნენ საერთაშორისო ლაბორატორიებში.**



ჩვენი კომენტარი:

პროკურატურამ უარყო ეს ცნობები. კიევის გლობალური სტრატეგიების ინსტიტუტის დირექტორის ვ.კარასიოვის აზრით, ვ.იუშჩენკო რჩება მომავალი პრეზიდენტის არჩევნების კანდიდატად. „მოქმედი პრეზიდენტის სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს წონადი, თუ პირველ და მეორე ტურებს შორის წარმოიქმნება გაურკვევლობა, ვინმე შეეცდება ხალხის ქუჩებში გამოყვანას. შეიძლება, მოინდომონ იუშჩენკოს დისკრედიტაცია წინასწარ“, – აღნიშნავს ექსპერტი. სხვათა შორის, პრეზიდენტის მოწამვლის ოფიციალური გამოკვლევა გრძელდება, თუმცა ბრალდება არავისთვის წაუყენებიათ.

### რისთვისაა საჭირო, რომ კვლავ გავასამართლოთ ბერეზოვსკი?

**ამ დღეებში ბერეზოვსკის ახალი ბრალდება წაუყენეს. ამჯერად 12 წლის წინანდელი საქმისთვის – „აგრობანკში“ 13 მილიონი დოლარის გატაცებისთვის. არ მესმის, რისთვის სჭირდება რუსეთის ხელისუფლებას ეს სასამართლო ფარსი, როდესაც შერისხული ოლიგარქის გადაცემას რუსეთისთვის ისედაც არ აპირებენ?**

**ზ. ბაიდოშვილი, მცხეთა**



გვიპასუხებს თ. ბუჩუკური, ადვოკატი:

– რუსეთის მთავრობის სამართალდაცვის ორგანოები მოქმედებენ მსჯავრდების უცილობლობის პრინციპით.

ხსენებული მოქმედებით რუსეთი ცდილობს დაადასტუროს: ბერეზოვსკი არაა პოლიტიკური დევნილი, რომ იგი სისხლის სამართლის დამნაშავეა. ადრე თუ გვიან, ოლიგარქთან დაკავშირებით მოგროვდება სასამართლოს განაჩენების „კრიტიკული მასა“, რაც „აიძულებს“ ბრიტანელებს შეხედონ მას სხვა თვალთახედვით. მაშინ ის შეიძლება გადასცენ რუსეთს. მით უმეტეს იმასაც თუ დაუმატებენ, რომ იგი თავისი პირადი ინტერესებით ამ დღეებში საქართველოშიც იმყოფებოდა არალეგალურად!

### კასტრაცია პედოფილებისთვის

**ამბობენ, რომ პოლონეთში მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც შეიძლება პედოფილების კასტრაცია იძულებითი წესით.**

ჩვენი კომენტარი:

კასტრაცია აუცილებელი იქნება მათთვის, ვინც სექსუალური ძალადობა გამოიყენა ბავშვებთან ან საკუთარი ოჯახის წევრების ახლობლებთან. „ქიმიურ კასტრაციას იმ წამლების გამოყენებით, რომლებიც ასუსტებენ სექსუალურ მიდრეკილებას, გამოიყენებენ ასეთი დამნაშავეების მიმართ მხოლოდ დროებით“, – განმარტავს მედიცინის დოქტორი ვ.ისელიძე ადამიანთა შორის კავშირის სექსოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტიდან.

## ანეკდოტები

კოპერფილდმა, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს რომ დაესწრო, ცესკოს თავმჯდომარე თარხნიშვილს თავისი კოლეგა უწოდა.

* * *

საინტერესოა, მაინც რამდენს უხდის მედვედევი პუტინს იმისთვის, რომ კრემლში მისი კაბინეტი აქვს დაქირავებული?

* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სექსოპათოლოგთან მივიდა:

– ექიმო, დაგვეხმარეთ, არაფერი გამოგვდის!

ექიმი მეორე ოთახში გავიდა და გამჭვირვალე სითხით სავსე ჭიქით დაბრუნდა. – დალიეთ და სცადეთ, მე კი ნახევარი საათით გავისეირნებო, უთხრა ახალგაზრდებს.

დაბრუნებულმა ნახა, რომ ახალგაზრდები სახეგაბადრულები და კმაყოფილები სხედან.

რა, გამოგივიდათ? – ეკითხება მათ ექიმი.

– დიახ, ყველაფერი შესანიშნავადაა. თქვენ გენიოსი ხართ!

– ეს ფსიქოლოგიური ფაქტორია, თქვენ უბრალო წყალი დალიეთ.

– არა, ექიმო, ეს სოციალური ფაქტორია, – უბრალოდ, დასაწოლი არ გვაქვს არსად.

* * *

– რაკი არ მენდობით, ქალბატონო, უმჯობესია, საერთოდ წავიდე თქვენგან! – ეუბნება დიასახლისს მოსამსახურე ქალი.

– რას ჰქვია, არ გენდობი. მე ხომ იმ სეიფის გასაღებიც განდე, რომელშიც ჩემი ძვირფასეულობა და ფული ინახება!

– ჰო, მაგრამ ის გასაღები სეიფს არ მოერგო!

* * *

ბრუნდება ტიპი სახლში და ხედავს, რომ მისი ცოლი ქმრის მეგობართან ერთად ნებივრობს საწოლში. ტიპი კლავს თავის მეგობარს.



– ჰო, მასე მოკალი ყველა და ნახავ, რომ მალე უმეგობროდ დარჩები! – დაყვედრებით ეუბნება ტიპს საწოლიდან წამომდგარი ცოლი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.